მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო.

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში ხაქმებათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42. ტელეფონი 10—49.
განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი —65 კ., [illegible] —85 კ. [illegible] 95 კ. განცხადებები: [illegible]—20 კ. [illegible]—25 კ. [illegible]—40 კ. [illegible]—60 კ. [illegible] განცხადება 15 პროცენტ. [illegible] განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— [illegible] ([illegible]) [illegible] პოლიტიკური [illegible] შესახებ.
— [illegible] მთავრობა.
— [illegible] [illegible] [illegible].
— [illegible] [illegible] შეთანხმება [illegible].
— ოსმალეთის ელჩმა გერმანია და ამერიკის წარმომადგენლების საპროტესტო ნოტა გადასცა სპარსეთს.
— გერმანიის რეიხსტაგმა [illegible] კონფერენციის წინადადება ამნისტიის შესახებ.
— ათი საათის სამუშაო დღის შემოღებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ზემო-სილეზიაში.

№ 165 (1020) ოთხშაბათი 23 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 165 (1020)

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ჩვენი პარტიის ერთ ძირითად დებულებას პროფკავშირების საკითხში ყოველთვის შეადგენდა ბრძოლა პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობისათვის.

სულ სხვა იყო ამ მხრივ ჩვენი ტაქტიკა პროფკავშირებში და სულ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში. რ. ს. დ. მ. პარტიაში პოლიტიკური განხეთქილება მოხდა 20 წლის წინეთ (1903 წ.) და აქ ჩვენ ყოველთვის შეურიგებელი ვუკავით, ვიბრძოდით მენშევიკებისაგან, რათა მკვეთრად დაგვეკავა ნამდვილი რევოლუციონური ხაზი მათი იდეური და ორგანიზაციული შერყვნისაგან.

პირიქით, პროფკავშირებში ბოლშევიკებს არ მოუხდენიათ არც ერთი რასკოლი, განხეთქილება ათეული წლების განმავლობაში, არც მაშინ, როცა იქ ჩვენ უმცირესობაში ვიყავით, არც მაშინ, როცა უმრავლესობა შევიძინეთ.

ჩვენს ამოცანას შეადგენდა შიგნით დაპყრობა პროფკავშირებში დარაზმულ მასსის, პროფმოძრაობის შენარჩუნებით.

პროფკავშირები პროლეტარიატის მასსიური ორგანიზაციაა. მასში შედიან მილიონობით მუშები, მდგარნი სხვადასხვა შეგნების და კულტურის სხვადასხვა დონეზე. მხოლოდ იმ პარტიას ექნება გამარჯვების შანსები, რომელიც შესძლებს ამ მრავალრიცხოვანი მასსის მიმხრობას. მაგრამ როგორ შეიძლებოდა მათი დაპყრობა—ყველაზე ნაკლებ პროფკავშირებში ორგანიზაციული გათიშვის გზით. ორგანიზაციული განცალკევება შექმნიდა უძლეველ დაბრკოლებებს მასსაზე გავლენის გასავრცელებლად. საჭირო იყო მთლიან პროფესიონალურ ორგანიზაციაში მუშაობით, იქ თავმოყრილ მუშების ინტერესების დაცვით, მათი პროფესიონალური მოძრაობის გადაბმით პოლიტიკურ ბრძოლასთან მუშათა კლასის შინაგანი შემჭიდროება და ჩვენი პარტიის მიერ მათზე თავისი გავლენის გაფართოება—განმტკიცება.

ამ გზას მისდევდა ბოლშევიკური პარტია იმ თავითვე. ამ გზამ სრულ გამარჯვებამდე მიგვიყვანა. ჩვენ დავიპყარით მთელი პროფესიონალური კავშირები და დავიცავით მათი მთლიანობა.

სულ სხვა ტაქტიკას დაადგნენ მენშევიკები. ისინი, რომელნიც ჩვენ პროფესიონალურ „რასკოლნიკებს“ გვიწოდებდნენ, პროფკავშირების საკითხში გამოიწვიენ განხეთქილების მოთავეებად. შორს რო არ წავიდეთ, გავიხსენოთ საქართველოში მენშევიკების ბატონობის ხანის ისტორია. როცა მათ დაინახეს, რომ მთელ რიგ კავშირებში ჩვენ შევძელით უმრავლესობის მიღწევა, მენშევიკებმა აღმართეს განხეთქილების დროშა და დაარსეს ცალკე, ყვითელი კავშირები.

ცხადია, თუ რატომ მოიქცნენ ისინი ამგვარად. მათ შეეშინდათ ჩვენთან ერთად საერთო პროფორგანიზაციებში ყოფნის, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვექნებოდა მათი მოღალატური პოლიტიკის უშუალოდ ერთ ორგანიზაციაში შეკავშირებულ მასსების წინაშე გამოაშკარავების, ამ გზით მათი გაკოტრების, პროფკავშირებიდან მათი თანდათანი გაძევების. ხელოვნური ორგანიზაციული ზღუდეების აღმართვით ისინი ცდილობდნენ პროფკავშირებში თავიანთი ძველი, გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას, და თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მთელი პროფორგანიზაციების დამსხვრევას, რათა ჩვენთვის მოესპოთ შესაძლებლობა პროფმოძრაობის ხელმძღვანელობისა, პროფკავშირების საშუალებით მასსის მოქცევისა ჩვენი გავლენის ქვეშ.

ასეთივე პოლიტიკას ადგანან დღეს ევროპის მენშევიკები.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ორი პროფესიონალური ცენტრი—წითელი პროფინტერნი და ამსტერდამის გაერთიანება. აგრეთვე არსებობენ სხვა და სხვა ქვეყნებში დამოუკიდებლად რევოლუციონური და რეფორმისტული პროფკავშირები.

ჩვენს მიზანს შეადგენს აღდგენა მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის და ერთიანი პროფკავშირების შიგნით ბრძოლა მასსების მოსამზადებლად რევოლუციონური ბრძოლისათვის.

მით უმეტეს საჭიროა ეს დღეს, როცა რევოლუციის პროცესი ჩვენთვის სასურველი სისწრაფით არ მიმდინარეობს და აუცილებელი ხდება სისტემატიური და ხანგრძლივი მუშაობა მთელი მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, მთელი პროლეტარიატის დასაპყრობად.

ეს მიზანი უფრო ადვილად განხორციელდება ერთიან პროფესიონალურ ორგანიზაციებში, სადაც ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყოველ დღიურ მუშაობის პროცესში პირისპირ, უშუალოდ წარსდგეთ მათში შეკრებილ მასსების წინაშე, რეფორმისტებთან ერთად.

მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის აღდგენის საჭიროება აღიარა კომინტერნის მეხუთე კონგრესმა. ამავე ნიადაგზე დადგა პროფინტერნის მესამე კონგრესი. დღეს ჩვენ ვათავსებთ უკანასკნელის რეზოლუციას მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანების საკითხის შესახებ.

ამ გაერთიანების კამპანია უნდა ჩატარდეს ორი მიმართულებით. ჩვენ უნდა გავსწიოთ ფართე მუშაობა უშუალოდ მასსებში საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის და პროფკავშირთა ერთიანი ინტერნაციონალის შექმნის სასარგებლოდ. ამდენ უნდა გადადგმულ იქნას ნაბიჯი გაერთიანებული ინტერნაციონალური კონგრესის მოსაწვევად, ორივე ინტერნაციონალის [illegible] ორგანიზაციებიდან, პროპორციონალურ წარმომადგენლობის საფუძველზე.

ამასთან მიზანშეწონილადაა ცნობილი, რომ ხელსაყრელ შემთხვევის დროს წითელ პროფინტერნში შემავალ ორგანიზაციებმა გამართონ მოლაპარაკება მთლიანობის განსახორციელებლად ამსტერდამის ინტერნაციონალთან და მის ცალკე ორგანიზაციებთან.

კონგრესმა აირჩია განსაკუთრებული კომისია 17 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ევალება ამ მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის წარმოება პროფინტერნის აღმასკომის ხელმძღვანელობით.

ამ გვარად, პროფესიონალური ერთიანი ფრონტის გატარება განზრახულია ქვევიდან, თვით მუშათა მასსების ამოძრავებით, ამასთან, როცა საჭიროება მოითხოვს, [illegible] მოლაპარაკების წარმოება ამსტერდამის გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებთან.

თავის თავად ცხადია, რომ როცა ჩვენ ვაყენებთ მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანებას და პროფკავშირების, ერთიანი ინტერნაციონალის აღდგენის იდეას, ოდნავადაც არ ვთმობთ ჩვენს რევოლუციონურ პოზიციებს რეფორმისტების „გულის მოსაგებად“. ხსენებულ რეზოლუციაშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ერთი წუთითაც არ ვსწყვეტთ მედგარ ბრძოლას რეფორმიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან, შეუბრალებლად ვამხელთ მის მოღალატურ ბუნებას“.

ჩვენ გაერთიანება გვესაჭიროება „პროლეტარულ ძალების მობილიზაციისათვის და მუშათა ბრძოლის ხელმძღვანელობის ერთიანობის ინტერესებისათვის“.

ჩვენ ვიცით, რომ კომინტერნის და პროფინტერნის კონგრესების მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ მტრულად შეხვდებიან ლონდონის და ამსტერდამის მეთაურები. ისინი, როგორც ყოველთვის, შეეცდებიან ეხლაც გასწიონ მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის საბოტაჟი.

მაგრამ თვით მუშათა მასსებშიც ძლიერია ლტოლვა თავიანთი ძალების გაერთიანებისაკენ. ისინი თანდათან [illegible]გებენ, რომ მხოლოდ შემჭიდროებული, გაერთიანებული რიგებით შეიძლება გამკლავება ფაშისტურ ბურჟუაზიასთან, ძლევამოსილი ბრძოლა მის წინააღმდეგ.

ახალი ლოზუნგი უეჭველად იპოვის ცოცხალ გამოხმაურებას მსოფლიოს მშრომელებში და ხელს შეუწყობს რევოლუციონურ ძალების მოზადებას—დარაზმვას ბურჟუაზიის შეტევისაგან თავის დასაცავად და მომავალი დიდი კლასობრივი ბრძოლებისათვის.

კომუნისტ-ქალთა საერთაშორისო კონფერენცია

გუშინწინ, 21 ივლისს, დასრულდა კომუნისტ-ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შეკრებილი იყო მოსკოვში.

კონფერენციის მიზანს შეადგენდა მშრომელ ქალთა მდგომარეობის გამორკვევა სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის რევოლუციონურ-საზოგადოებრივ მუშაობის გასაფართოებლად გზების და საშუალებათა დასახვა.

მშრომელ ქალთა აქტიურ ჩაბმას მუშა-მამაკაცებთან ერთად საერთო რევოლუციონურ მოძრაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი მუშათა კლასის განთავისუფლებაზე კაპიტალის უღლიდან, თუ პროლეტარ-ქალთა მასსა არ გამოვიდა რევოლუციონურ ბრძოლის სარბიელზე მთელი თავისი შესაძლებლობით, თუ ორივე სქესის მშრომელნი ერთიანი, [illegible] რიგებით არ აღუდგებიან შეტევაზე გადმოსულ ფაშისტურ ბურჟუაზიას.

პროლეტარ და გლეხ-ქალთა ობიექტიური მდგომარეობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ქმნის ხელსაყრელ პირობებს მათში რევოლუციონურ სულისკვეთების გასაღვივებლად, მათი დასარაზმავად არსებული ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

მრავალ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიულ სახელმწიფო მოღვაწეებს და „სოციალისტებს“ თავი მოაქვთ იქ ვითომდა არსებული „ჭეშმარიტი დემოკრატიული რეჟიმით,—ქალები მოკლებული არიან საარჩევნო და სხვა პოლიტიკურ უფლებებს.

კაპიტალისტური მეურნეობის ნგრევის და ფაშისტური ბურჟუაზიის მძვინვარების სიმძიმეს ყველაზე მეტად მშრომელი ქალი განიცდის. ქალის შრომის უსაზღვრო ექსპლოატაცია, შეუდარებლად მცირე ხელფასი, მუშაობის არაჰიგიენური პირობები, უმუშევრობა, რომელიც მას ხშირად ერეკება ქუჩისაკენ, პროსტიტუციისაკენ,—აი, ხვედრი მუშა ქალისა მეტნაკლებობით ევროპაში საერთოდ, კერძოდ მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყნებში.

ასეთი მძიმე მდგომარეობა იძულებულს ხდის მშრომელ ქალს კლასობრივად გამოფხიზლდეს, თავი დააღწიოს ძველებურ პასივობას და ჩაებას ბრძოლაში თავისი არსებობის პირობების გარდასაქმნელად.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობა იზრდება ყველგან.

ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ სავაფიცვო მოძრაობაში. კერძოდ გერმანიაში ამ მოვლენამ მასიური ხასიათი მიიღო, რაც აიხსნება ამ ქვეყნის საერთოდ მუშათა კლასის, განსაკუთრებით პროლეტარ-ქალების გაჭირვებული მდგომარეობით.

მუშა და გლეხ-ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ აჯანყების დროს ბულგარეთში.

მშრომელ ქალებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს საპარლამენტო არჩევნებისადმი მთელ რიგ ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი და სხ.).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელ ქალთა რევოლუციონურ მოძრაობას ევროპაში მეტ წილად ჰქონდა სტიქიური ხასიათი. სუსტად ჩანდა კომპარტიების ხელმძღვანელობა მათზე. ქალთა მასსის დაპყრობის, მათში მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობა მთელი სიგრძე-სიგანით ყველგან არ ყოფილა საკმაოდ შეგნებული.

ამით აიხსნება, რომ ზოგან პროლეტარ ქალთა მოძრაობაში თავს იჩენენ ფემინისტური მიდრეკილებანი. საჭირო მასშტაბით ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის გადაბმა მთლიანად მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. თვით ჩვენი დასავლეთის პარტიების შიგნით ქალთა შორის მუშაობას ახლდა ნაკლოვანებანი, — ჯერ ერთი—მას საერთოდ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, შემდეგ—ზოგან თავი იჩინა ტენდენციამ ქალთა შორის მუშაობის სფეროში ერთიან პარტიულ ხელმძღვანელობიდან და საერთო ორგანიზაციული კალაპოტიდან გამოთიშვისა და ქალთა მოძრაობის დამოუკიდებლად განვითარებისა.

მშრომელ ქალთა შორის მუშაობის დარგში კომინტერნის დასავლეთის სექციების წინაშე დგანან შემდეგი ამოცანები: პარტიების გაძლიერება პროლეტარულ ქალების შემადგენლობით,—მეტად არანორმალურ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, მაგ. ის, რომ საფრანგეთის პარტიაში ქალები მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენენ; უკეთესი მდგომარეობა არ არის ზოგიერთ სხვა სექციაში: მუშაობის გაძლიერება უპარტიო მუშა და გლეხ-ქალთა დასაპყრობად და ამ მიზნით არა მარტო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება მათი კლასობრივი გამოფხიზლებისთვის, არამედ ბრძოლა მათი მიმდინარე ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ცხოვრების მძიმე პირობების შესამსუბუქებლად; მშრომელ ქალთა ჩაბმა პროფესიონალურ, კოოპერატიულ და მუშათა სხვა ორგანიზაციებში; მთელი ამ მუშაობით აღმოფხვრა ფემინიზმის ყოველგვარ ნაშთების და ქალთა მოძრაობის დამორჩილება პროლეტარიატის მთლიან რევოლუციონურ ბრძოლის ამოცანებისა და მეთოდებისათვის; პროლეტარ-ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება; პარტიის შიგნით მიზანშეწონილი ორგანიზაციული წყობის და მტკიცე იდეური ხელმძღვანელობის გზით ქალთა პარტიულ მუშაობის ჩაყენება პარტიის ერთიან კალაპოტში. ამ მხრივ რ. კ. პ. მაგალითი ბევრ რამეს ასწავლის სხვა სექციებს.

კერძოდ უნდა აღინიშნოს მუშაობა აღმოსავლეთის ქალთა შორის. აღმოსავლეთის ქალი უუფლებოა პოლიტიკურად, დამონებულია ეკონომიურად, ძალიან ჩამორჩენილია კულტურულად. მასში არ არის გაღვიძებული იდეა მამაკაცთან თანასწორ უფლებიანობის. მას ზღუდავს ოჯახის ოუხეირი პირობები და ათასი ცრუმორწმუნოება. აქ ფართოდ უნდა იქნას წარმოებული პირველ რიგში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ასეთი ამოცანები დასახა ეხლა დასრულებულმა კომუნისტ-ქალთა საერთაშორისო კონფერენციამ.

მუშათა კლასის ნახევარი ნაწილი მშრომელ ქალთა საკითხს უნდა მიექცეს გაცილებით მეტი ყურადღება ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. კომინტერნის ყველა სექციებმა და ჯგუფებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ქალთა პროლეტარიატის საერთო რევოლუციონურ ბრძოლაში ჩაბმის მთელი მნიშვნელობა და ამ მხრივ წარმართონ თავიანთი მუშაობა. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ გარეშე მშრომელ ქალთა მრავალრიცხოვან არმიის რევოლუციონურ ამოძრავებისა შეუძლებელია მუშათა კლასის საქმის გამარჯვება.

X.

პროფესიონალურ მუშაობის წვრილმანები

პროფესიონალურ კავშირებში ამჟამად მიქცეული აქვს ყურადღება მასსებში მუშაობას. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ პროფესიონალური კავშირების ორგანოები, დაწყებული საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტიდან და გათავებული ცენტრალურ გამგეობით და კავშირების საბჭოებითაც,—მჭიდროდ იქნენ დაკავშირებული თავის წევრების მასსებთან, ეცნობოდენ მათ დღიურ პირ-ვარამს და ამაზე აგებდენ როგორც მათ ინტერესების დაცვას, ისე კულტურულ აღზრდას და ხელმძღვანელობას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

ახლა ჩვენი პროფესიონალური კავშირები აგებული არიან თავისუფალ წევრობის საფუძველზე და მათი მუშაობის მეთოდებიც არ არიან დამყარებული იძულებაზე. პროფესიონალურ დისციპლინისათვის დამორჩილება არ შეიძლება ჩაითვალოს იძულებითი ზომათ, რამდენად კავშირის წევრს ყოველთვის უფლება აქვს განაცხადოს უარი კავშირის წევრობაზე.

კავშირის მუშაობაში არა თუ ბიუროკრატიზმი, არამედ მისი ჩანასახიც, ან რაიმე მისი მსგავსი არ უნდა იყოს. არც რაიმე ადმინისტრატიულ ხასიათის ზომებს უნდა ჰქონდეს ადგილი. ყველაფერი მორალური ზეგავლენით და შეგნების ჩანერგვით უნდა ხდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირი დაჰკარგავს ნდობას მასსებში, ჩამოიცილებს მათ ფაქტიურად, თუ ფორმალურად არა, და გაიხდის თავს [illegible]-მოსამსახურეთა შეხედულებაში ბრძანების და განკარგულების გამცემ ორგანოთ.

ამიტომ პროფესიონალურ კავშირების მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ წვრილმანებს, რომლებიც სხვა ორგანიზაციებში უმნიშვნელო არიან. ქვევით შევეხებით კავშირის მუშაობის ასეთ წვრილმანებს.

მასსებთან დაახლოვების მიზნით პრაქტიკაში შემოვიდა კავშირის ორგანოების მიერ (ცენტრალურ გამგეობების, სამაზრო განყოფილებების) კომიტეტების ანგარიშის მოხსენება საქალაქო კონფერენციებზე, საერთო და სადელეგატო კრებებზე.

ამ მოკლე დროის განმავლობაში ასეთი მოხსენებები რამოდენიმეჯერ მოეწყო თბილისის სხვადასხვა კავშირებში. საჭიროა აღინიშნოთ მათი ზოგიერთი უარყოფითი მხარეები.

ხშირად კრების პრეზიდიუმი სდგება იმ ორგანოს წევრებისაგან, რომელიც ანგარიშს აკეთებს. მაგალითად, ერთ კავშირის საქალაქო კონფერენციაზე მოხსენებას ჩატარებულ მუშაობის შესახებ აკეთებდა კავშირის ცენტრალური გამგეობა. პრეზიდიუმი შედგენილ იქნა უმეტეს ნაწილად ამ გამგეობის წევრებისაგან. ეს დაუშვებელია, ვინაიდან კრების ხელმძღვანელად არ შეიძლება იყვეს ის, ვინც ანგარიშს იძლევა თავის მუშაობის შესახებ. მოხსენება უთუოდ კრიტიკას გამოიწვევს და შეიძლება კრების ასეთმა პრეზიდიუმმა ცალმხრივობა გამოიჩინოს.

უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მომხსენებლის „მკაცრი“ გალაშქრება იმათ წინააღმდეგ ვინც კრიტიკით გამოდის. ხშირად ადგილი აქვს, რომ მომხსენებელი საბოლოო სიტყვაში არსებითად კი არ ეხება ოპონენტის მიერ წამოყენებულ საკითხს, არამედ ეძებს მის კრიტიკის მოტივებს და ცდილობს დაამტკიცოს ამა თუ იმ პირის გამოსვლა, როგორც პირადი მოსაზრებით ნაკარნახევი. ეს უკარგავს ყველას ყოველგვარ ხალისს გამოსვლაში და დეფექტების აღნიშვნაში.

„მოისმინეთ და მივიღეთ ცნობათ“, —ან „ვცნობთ მუშაობას დამაკმაყოფილებლად“—ამით თავდება ხშირად კრება, სადაც მომხსენებელმა ორი-სამი საათი ილაპარაკა და დანარჩენებს კი ხმა არ ამოუღიათ, ან თუ ვინმემ ამოიღო ხმა, „შესაფერისი პასუხი“ მიიღო მომხსენებლისაგან. ძალიან იშვიათი იქნება ისეთი შემთხვევა, რომ მუშაობა ცნობილ იქნეს არა დამაკმაყოფილებლად. ბევრს ჰგონია, რომ ასეთი რეზოლუციის მიღების შემდეგ, მომხსენებელი ორგანოები „ოტსტავკაში“ უნდა წავიდეს, როგორც ეს ხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების პარლამენტებში. ასეთ რამეს პროლეტარულ ორგანიზაციებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პირიქით, ანგარიშის წარმომდგენ ორგანოს მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლად და ამავე დროს მიეცეს წინადადება მასვე დარჩეს და იმუშაოს, როგორც რიგია. ამიტომ „არადამაკმაყოფილებელ“ რეზოლუციების მიღებას არ უნდა ვერიდოთ, როდესაც ეს საჭირო იქნება. ამაში ჩვენ დიპლომატობა არ გვჭირდება, ვინაიდან ის არც „ოტსტავკას“ გამოიწვევს და არც არავის პირად შეურაცხყოფას მიაყენებს.

ტომელი.

მოკავშირეთა კონფერენციის გარშემო

ბანკირები იმუშავებენ გერმანიისათვის სესხის მიცემის პირობებს

რურის ევაკუაციის საკითხი გაირჩევა ახალ კონფერენციაზე

გერმანიას წინადადებას მისცემენ ხელი მოაწეროს კონფერენციის დადგენილებებს

კონფერენციის დასრულებას მოელიან მიმდინარე კვირაში

ინგლისის წინადადებანი

ლონდონი. 22 ივლისი. გამოშვებულია გამოსაქვეყნებლად პირველი კომისიის მოხსენების ინგლისური ტექსტი. მოხსენება შეიცავს 4 ერთხმად მიღებულ წინადადებას. პირველ წ[ინადადე]ბაში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუ საკონტრიბუციო კომისია შეუდგება გერმანიის მიერ ვალდებულებათა დარღვევის საკითხის გამორკვევას, ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკელი მოქალაქე, რომელიც ხმას მისცემს კენჭის ყრის დროს. ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ ამ ამერიკელ მოქალაქეს დანიშნავენ 5 წლის ვადით, ხელახალი დანიშვნის უფლებით. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ შეერთებულ შტატებს მომავალში ეყოლებათ თავისი ოფიციალური წარმომადგენელი საკონტრიბუციო კომისიაში, მაშინ წინად დანიშნული ამერიკელი მოქალაქე ჰკარგავს ამ კომისიის წევრობის უფლებას და შემდეგ, ვიდრე შეერთებული შტატები წარმოდგენილი იქნებიან ოფიციალურად კომისიაში, ამერიკელი მოქალაქე აღარ დაინიშნება. მეორე წინადადებაში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკონტრიბუციო კომისია გამოარკვევს გერმანიის მხრივ ვალდებულებათა დარღვევას, მოკავშირეთა მთავრობები საერთო რწმუნებულ პირთა საშუალებით გადასწყვეტენ თუ როგორი ხასიათის სანქციები უნდა იქნას ხმარებული გერმანიის მიმართ და გამოიმუშავებენ ამ სანქციების სასწრაფოდ გატარების მეთოდებს. მესამე წინადადებაში აღნიშნულია, რომ 800 მილიონ ოქრ. მარკის სესხის უზრუნველსაყოფად და ამ სესხის გამოშვების გასაადვილებლად მოკავშირე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ გერმანიაზე სანქციების დადების შემდეგ ისინი იძლევიან გარანტიებს სესხისათვის.

გარდა ამისა, მოკავშირე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ სესხის გამგეობას აქვს აბსოლიუტური პრიორიტეტი გერმანიის ყველა იმ რესურსების წინაშე, რომელიც სესხს ეკუთვნის, და აგრეთვე ყველა იმ რესურსების წინაშე, რომელიც შედეგად მოჰყვება სანქციების ხმარებას. სახელმწიფოები აღიარებენ აგრეთვე, რომ სესხის ბრუნვის განმავლობაში, ისინი არ მიმართავენ სანქციებს საკონტრიბუციო კომისიის დადგენილების გარეშე. ამასთანავე ვალდებულებათა დარღვევის საკითხის განხილვის დროს წინასწარ შეეკითხებიან საკონტრიბუციო გადასახადების საქმეთა გენერალურ აგენტს და სესხის მეპატრონეთა წარმომადგენლებს. მეოთხე წინადადებაში აღნიშნულია, რომ წინა პარაგრაფებში ჩამოთვლილ შემთხვევების გარდა ვერსალის ხელშეკრულების ხელისმომწერთათვის ძალაში რჩება ყველა არსებული უფლებები.

გერმანიის მიწვევის საკითხი

ნაუენი, 22 ივლისი. ლონდონის კონფერენციაზე გერმანიის მონაწილეობის საკითხს დღეს იხილავენ მოკავშირეთა დელეგაციების ლიდერები. ლონდონის პრესა ამბობს, რომ შესაძლებელია გერმანიის მთავრობას მიეცეს წინადადება გამოგზავნოს ლონდონის კონფერენციაზე თავისი დელეგაცია ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, მაგრამ დღემდის გერმანიის მთავრობას ოფიციალური მიპატიჟება არ მიუღია.

მესამე კომისია მუშაობს ორ ქვეკომისიის დახმარებით, რომლებიც შედგენილი არიან საფრანგეთ-ბრიტანეთის უთანხმოებათა განსახილველად.

შტრეზემანი ემზადება

ნაუენი. 22 ივლ. იტყობინებიან, რომ შტრეზემანი ალბათ პირადათ გაემგზავრება ლონდონში მის შემდეგ, როდესაც გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო მიიღებს ოფიციალურ მიწვევის ბარათს ლონდონის კონფერენციაზე.

გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუ საფრანგეთს დოუესის გეგმის მიღების შემდეგ შესაძლებლათ მიაჩნია წაუყენოს გერმანიას ზოგიერთი პირობები, მაშინ გერმანიასაც, თუ ის მიწვეული იქნება კონფერენციაზე, შეუძლია აგრეთვე წამოაყენოს თავისი პირობები.

ლონდონში აღნიშნავენ, რომ პირველ აგვისტოს პარიზში მოწვეული იქნება ახალი კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი რურის სამხედრო ოკუპაციის შესახებ.

„ტაიმს“-ის ცნობებით, ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის კაბინეტმა გადასწყვიტა პატივისცემით მოეპყრას ვერსალის ხელშეკრულებას, ამას გარდა მან დაადგინა, რომ კელნის ზონის ევაკუაცია დაიწყოს 25 ივლისიდან.

ბანკირების თათბირი

პარიზი, 22 ივლისი. შესდგა ტექნიკოსების და ფინანსისტების თათბირი; თათბირს დაესწრენ [illegible], ლამონი (მორგანის ბანკის კამპანიონი) და მონტეგიუ ნორმანი-ინგლისის ბანკის დირექტორი; თათბირის მიზანი იყო იმ პირობების გამომუშავება, რომელთა მიხედვითაც ამერიკული ბანკირები დათანხმდებიან ხელი შეუწყონ სესხის ემისიას გერმანიისათვის.

საფრანგეთის ყველა გაზეთები პროტესტს აცხადებენ გერმანიის სესხის ობლიგაციების მომავალ მეპატრონეთა ახალი პრეტენზიების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ენერგიულად ილაშქრებს შემარცხენე პრესა. „ომ ლიბრ“-ი აღნიშნავს, რომ ლამონის და იუნგის პოზიციები სრულიად არ ეთანხმებიან ერთმანეთს. „ერ ნუველ“-ი ამბობს, რომ ლამონის თვალსაზრისი მიუღებელია. გაზეთის სიტყვებით, ერრიომ მტკიცეთ გადასწყვიტა იმოქმედოს ახალი პოზიციის მიხედვით.

გერმანიას არაფერს ჰკითხავენ

წინადადებას მისცემენ ხელი მოაწეროს.

ბერლინი. 21 ივლ. პარიზში და ლონდონში ფიქრობენ, რომ ამ კვირაში გერმანია მიწვეული იქნება კონფერენციაზე. გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ გერმანიას [illegible] ხვდება მხოლოდ ლონდონის ოქმების ხელისმოწერა. გერმანიის წარმომადგენლათ, ალბათ, იქნება შტრეზემანი.

გერმანია მოელის კონფერენციაზე მიპატიჟებას.

ნაუენი. 21 ივლ. ბერლინში მოუთმენლად ელიან კონფერენციის მიერ გადაწყვეტილების გამოტანას კონფერენციაზე გერმანიის მიწვევის შესახებ.

ოკუპანტები ჯიუტობენ

ბერლინი 21 ივლისი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთი მოითხოვს დატოვებული იქნეს რურში 4.000 ფრანგი რკინისგზელი საოკუპაციო ჯარების უშიშროების უზრუნველსაყოფათ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის რკინისგზებზე დაიწყება გაფიცვა.

საფრანგეთის მოთხოვნილების წინააღმდეგ

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ინგლისის დელეგაცია ლონდონის კონფერენციაზე ილაშქრებს საფრანგეთის მოთხოვნილების წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ საფრანგეთს სურს დატოვებული იქნეს გერმანიაში საფრანგეთ-ბელგიის მოსამსახურეების ძირითადი კადრი იმ მიზნით, რომ საშუალება ექნეს საფრანგეთს თვალყური ადევნოს რკინისგზებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გაფიცვა და სხვა ამბები. ინგლისის დელეგაცია წინადადებას იძლევა დაუბრუნდენ იმ მდგომარეობას, რომელიც იყო რურის ოკუპაციამდი; ინგლისის დელეგაცია ფიქრობს, რომ მოულოდნელ ამბების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ჯარების გამოწვევა. რეიტერის სააგენტო უმატებს, რომ ამ საკითხს არ აძლევენ პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას და ხაზს უსვამს იმას, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხები უკვე გადაწყვეტილია კონფერენციის მიერ. მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი—ეს არის საკითხი გერმანიასთან შეთანხმების შესახებ.

უკმაყოფილება გერმანიაში

პრესა ერრიოს პოლიტიკის შესახებ.

ლონდონი. 21 ივლ. შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ ლონდონის კონფერენციის შესახებ სწერს, რომ [illegible] პროექტი და სნოუდენის წინადადება მიღებულია. სნოუდენის წინადადება მდგომარეობს ტერიტორიალურ სანქციების პრინციპიალურ ცნობაში და ერრიოს თეზისების არა პირდაპირ მიღებაში, რის გამოც საფრანგეთს ენიჭება მოქმედების თავისუფლება. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ საკითხების გადაჭრა დამოკიდებულია გერმანიის მთავრობის პოზიციის ექსპერტთა პროექტის მიმართ. ამ წერილის ავტორად ასახელებენ შტრეზემანს.

„ფორვერტსი“ უკეთებს კომენტარიებს ლონდონის კონფერენციას და აკრიტიკებს ერრიოს პოლიტიკას. გაზეთი ამბობს, რომ საფრანგეთის პოლიტიკის წყალობით საეჭვოა, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის დამყარდეს კეთილმეზობლური განწყობილება.

პლენარული სხდომა

ლონდონი, 22 ივლისი. როგორც ლონდონში ფიქრობენ, ლონდონის კონფერენციის პლენარული სხდომა შესდგება მას შემდეგ, როდესაც მეორე კომისია დაამთავრებს მუშაობას, ეს კომისია, რომელიც ამ ჟამად დაყოფილია ორ ქვეკომისიათ, იხილავს საკითხებს რურის ეკონომიურ ევაკუაციის გატარების და აგრეთვე რურის ევაკუაციის შემდეგ საფრანგეთ-ბელგიის რკინის გზის პერსონალის დატოვების შესახებ. ერთი იმ ქვეკომისიათაგანი იუწყება, რომ საფრანგეთ ბელგიის რკინის გზის პერსონალის დატოვების საკითხში ჯერ-ჯერობით შეთანხმება არ არის მიღწეული და ეს საკითხი უნდა იქნას გადაჭრილი ამ კომისიის მიერ მთლიანად ან კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. ფიქრობენ, რომ რადგან ამ საკითხს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, მის გადასაჭრელად გამონახული იქნება კომპრომისი. მეორე ქვეკომისია პრინციპიალურად შეთანხმდა რურის ეკონომიურ ევაკუაციის საკითხში და ამჟამად იმუშავებენ ვადას ევაკუაციის გეგმაშეწონილად ჩასატარებლად.

ბერლინი. 21 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, მოკავშირეთა კონფერენციის პლენარული სხდომა შესდგება სამშაბათს.

მუშაობა კომისიებში

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ლონდონის კონფერენციის პირველმა და მესამე კომისიებმა დაამთავრეს თავისი მუშაობა. მთავარ ქვეკომისიათ ითვლება პირველი, რომელიც იხილავს საკითხებს გერმანიის ეკონომიურ მთლიანობის შესახებ და კერძოთ კი საკითხს რურის შესახებ. ამ ქვეკომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. კონფერენციის ატმოსფერა გაუმჯობესდა. ხვალ მოსალოდნელია შეთანხმება.

სარეპარაციო კომისიაში

იუნგის კანდიდატურა მოწონებულია

ნიუ-იორკი. 20 ივლისი. კულიჯმა მოიწონა იუნგის კანდიდატურა რეპარაციების საქმეთა გენერალურ კომისრის თანამდებობაზე.

სარეპარაციო საკითხი.

რომი. 20 ივლისი. პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად სარეპარაციო კომისიამ მიიღო გერმანიის პირველი კანონპროექტის ტექსტი რომელიც ეხება მთავრობის გარანტიებს სამრეწველო ობლიგაციებისათვის. ობლიგაციები გამოშვებული იქნება რეპარაციების ანგარიშში 5 მილიარდ ოქროს მარკის რაოდენობით.

ჩვენ და უცხოეთი

საფრანგეთი

ჩიჩერინთან ურთიერთობის განახლების წინ.

პარიზი, 22 ივლისი. ერრიომ დეპეშა გაუგზავნა ჩიჩერინს, რომ ის შეუდგება საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის პრობლემის განხილვას, როგორც კი ლონდონიდან დაბრუნდება.

იტალია

გრაფი მანცონი

რომი, 22 ივლისი. რომში ჩაიდა იტალიის ელჩი მოსკოვში მანცონი და იტალიის კომერციული ატტაშე საბჭოთა კავშირში.

ამერიკა

იუზისა და მაკდონალდის თათბირი.

ნაუენი, 22 ივლისი. იუზისა და მაკდონალდს შორის მოხდა თათბირი, რომელზედაც განხილული იყო რამოდენიმე საკითხი. სხვათა შორის, საკითხები საყოველთაო განიარაღების, ერთა ლიგის და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების და შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ.

ჰანოვერი, 22 ივლისი. ბრიტანეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს იუზის, მაკდონალდის და ერრიოს კერძო თათბირებს ლონდონში.

პოლონეთი

ჩვენი საკონსულოები პოლონეთში.

მოსკოვი, 20 ივლისი. საბჭოთა კავშირის და პოლონეთის საკონსულო კონვენცია ხელმოწერილია. პოლონეთის მთავრობა აწესებს საკონსულოებს ლენინგრადსა, კიევსა, ხარკოვსა და თბილისში. საბჭოთა კავშირი—ლვოვში, დანციგში და ლოძში. საბჭოთა კავშირს ენიჭება აგრეთვე დამატებითი საკონსულოს მოწყობის უფლება კრაკოვში, პოლონეთს—ნოვონიკოლაევსკში. საბჭოთა კავშირისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულოს დაწესება ლვოვსა და დანციგში, რადგან ლვოვი სავაჭრო ცენტრია, რომლის საშუალებითაც სწარმოებს სავაჭრო ურთიერთობა [illegible] გაღმა მდებარე სახელმწიფოებთან. დანციგი მეტად მნიშვნელოვანი საზღვაო ნავთსადგურია.

აჯანყება ბრაზილიაში

აჯანყებულები ბრძოლას განაგრძობენ.

ლონდონი. 22 ივლ. „დეილი მეილ“-ს ნიუ-იორკის კორესპონდენტის ცნობებით, ბრაზილიის მთავრობის ჯარებსა და რევოლუციონერებს შორის დაიწყო სასტიკი ბრძოლა სან-პაბლოს დაპყრობისათვის. აქამდე ქალაქი რევოლუციონერების ხელშია. თუმცა ბრაზილიის მთავრობის განცხადების თანახმად, რევოლუციონერებს აკლიათ ამუნიცია და სურსათ-სანოვაგე, მაგრამ, უპარტიო კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იტყობინება, რომ რევოლუციონერები საუცხოვოთ არიან შეიარაღებული და მათ სურსათ-სანოვაგეც ბევრი აქვთ. რევოლუციონურ ძალებს—20.000 კაცს დაკავებული აქვთ ყველა სტრატეგიული პუნქტები სან-პაბლოს რაიონში, მათ არტილერიას კი უჭირავს ყველა მაღლობები.

რომი. 22 ივლისი. ბრაზილიის საელჩო რომში აცხადებს, რომ რევოლუციონერები დღითი დღე კარგავენ თავის მომხრეებს, მთავრობის ჯარები კი იკავებენ სულ ახალ და ახალ პოზიციებს. რევოლუციონერები უკან იხევენ ქვეყნის შიგნით და თან მიჰყავთ თავისი მომხრეები. საელჩოს სიტყვებით, მთავრობის ჯარები ყველგან წარმატებით მიიწევენ წინ.

ბუენოს-აირესიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რევოლუციონერების მდგომარეობა სან-პაბლოში კრიტიკულია. მათმა გეგმამ აჯანყება მოეწყოთ სხვა შტატებში სრული დამარცხება განიცადა.

აჯანყებულების მდგომარეობა.

ლონდონი. 21 ივლისი. ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ ბრაზილიის რევოლუციონერები კრიტიკულ მდგომარეობაში მოექცნენ; ისინი გარშემორტყმული არიან მთავრობის ჯარებით, რომლებიც რიცხვის მხრივ ხუთჯერ აღემატებიან რევოლუციონერების ძალებს.

კომინტერნის კონგრესი რ. კ. პარტიის შესახებ

მოსკოვი, 22 ივლისი. ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგათ მოჰყვა ის, რომ მუშათა კლასმა ხელისუფლების სათავეში მოაქცია რუსეთის კომპარტია, რომელიც შეუდგა სოციალისტური საზოგადოების მოწყობას. ამ მსოფლიო მოვლენაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთის კომპარტიის ორგანიზაციულმა დარაზმულობამ, მის შემადგენლობაში მეორე ინტერნაციონალის ოპორტიუნიზმთან ბრძოლაში გაწვრთნილ რევოლიუციონურ კადრების ყოფნამ და ლენინის ხელმძღვანელობით გამომუშავებულმა რევოლიუციონურმა ტაქტიკამ. რ. კ. პ. ერთერთი ძირითადი ძალა იყო კომინტერნის შექმნის საქმეში და დღემდე ის არის ერთი მთავარი ფაქტორთაგანი, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინსვლას. რ. კ. პ. წარმატებას და აგრეთვე მის მარცხს, მით უმეტეს მის შემადგენლობაში ცალკე ფრაქციების და ჯგუფების წარმოშობას არ შეიძლება მეტათ სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდეს სხვა ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. რ. კ. პ. თავის რევოლიუციონურ მუშაობას ახორციელებს კაპიტალისტური სახელმწიფოების გარემოცვის დროს და იმ მომენტში, როდესაც სხვა ქვეყნების კომპარტიები მხოლოდ ეხლა იწყებენ ბრძოლას ძალაუფლების დაპყრობისათვის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც დღეს წარმოადგენს რ. კ. პ. მუშაობის სტიმულს და, რომელიც განსაზღვრავს სოციალისტური ელემენტების ზრდის აუცილებლობას, ამავე დროს იძლევა შესაძლებლობას ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისათვის, მაშასადამე, ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერებისათვის სახელმწიფო აპარატსა და პარტიის ცალკე ნაწილებზე. კაპიტალისტურ გარემოცვასთან წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლათ, იმ ბურჟუაზიულ გავლენათა აღსაკვეთათ და საბჭოთა კავშირის განვითარების უზრუნველსაყოფათ საჭიროა რევოლიუციონური სიმტკიცე და რ. კ. პ. მჭიდროთ გაერთიანება, რომელიც აღმოცენებულია ლენინიზმის პრაქტიკის და თეორიის საფუძველზე. ამის გამო კომუნისტური ინტერნაციონალისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რ. კ. პ. შინაურ მდგომარეობას. გასულ წლის შემოდგომაზე რ. კ. პ. შიგნით წარმოებულმა დისკუსიამ, რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის მიმართ ოპოზიციის შექმნამ კონგრესი დააყენა აუცილებლობის წინაშე დაკვირვებით შეესწავლა ეს საკითხი, მიუხედავათ იმისა, რომ თვით რ. კ. პ. მე-13 ყრილობაზე ერთხმათ გაკიცხა ოპოზიცია, როგორც წვრილ-ბურჟუაზიული გავლენის შედეგი და დისკუსიიდან უფრო განმტკიცებული და შემჭიდროებული გამოვიდა. რ. კ. პ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა, მიუხედავათ იმისა, რომ კონგრესმა მოიწვია ისინი თავისი თვალსაზრისის გასაცნობათ და დასასაბუთებლათ, ფორმალური მოსაზრებებით უარი განაცხადეს გამოსვლაზე. მეორეს მხრივ კონგრესმა ვერ მიიღო დამარწმუნებელი საბუთები, რომ ოპოზიციამ აღიარა თავის შეცდომები და დადგა სავსებით რ. კ. პ. მე 13 ყრილობის თვალსაზრისზე. ასეთი მდგომარეობა ქმნის დისკუსიის განახლების საშიშროებას რუსეთის კომპარტიაში. ამავე დროს კონგრესი აღნიშნავს, რომ რ. კ. პ. ოპოზიციის ხელს უწყობდა სხვა კომპარტიების შიგნით არსებული ჯგუფები, რომლებიც გამოხატავენ მარჯვენივ გადახრას ამ პარტიებში და მკაცრათ გაკიცხული არიან კომინტერნის მეხუთე კონგრესის მიერ. მოისმინა რა სპეციალური მოხსენება საბჭოთა კავშირის და რ. კ. პ. მდგომარეობის შესახებ და შეისწავლა რა ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალა თავის სექციებს შორის, კონგრესი ადგენს: კონგრესის სახელით დამტკიცებული იქნეს მე-13 პარტკონფერენციის და რუსეთის კომპარტიის მე-13 ყრილობის რეზოლიუციები, რომლებშიაც გაკიცხულია ოპოზიციის პლატფორმა, როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრის პლატფორმა, რაც საფრთხეს უმზადებდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურას.

სპარსეთის ამბები

ამერიკის ნოტა სპარსეთისადმი.

თეირანი. 21 ივლისი. ამერიკელ კონსულის იმბერის მოკვლის გამო თეირანში, ამერიკის მთავრობამ გადასცა სპარსეთის მთავრობას ნოტა. დიპლომატიური კორპუსი იმუშავებს ნოტას, რომელშიაც მოითხოვს უცხოეთის წარმომადგენლების უშიშროების დაცვას.

თეირანში გამოცხადებულია საალყო წესები.

თეირანი. 21 ივლისი. სპარსეთის მთავრობამ თეირანში გამოაცხადა საალყო წესები. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მატუზახანი; დააპატიმრეს მრავალი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, დახურეს 8 ოპოზიციონური გაზეთი.

თეირანი. 21 ივლისი. იუწყებიან, რომ კონსულ იმბერის გადარჩენის მიზნით ბრბოს შეებრძოლა ყაზახთა რაზმი. შეტაკების დროს დაჭრილია 12 ყაზახი, მოკლულია 1.

სახელმწიფოების საპროტესტო ნოტა.

ლონდონი. 22 ივლისი. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, რომ ოსმალეთის ელჩმა გადასცა სპარსეთის მთავრობას კოლექტიური ნოტა, რომელსაც ხელს აწერენ ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლები. ამ ნოტაში გამოთქმულია მწუხარება თეირანის ბრბოს მიერ მაიორ იმბერის მოკვლის გამო. მთელს პასუხისმგებლობას ფატალურ ინცინდენტისათვის, რომელიც გრძელდებოდა მთელს საათს, ნოტა აკისრებს სპარსეთის მთავრობას, რადგან სპარსეთის პოლიციამ არ გაფანტა იარაღით ფანატიკური ბრბო.

დაჭრილ სეიმურის მდგომარეობა მძიმეა.

სხვადასხვა ამბები

— **ახალი მთავრობის მოლოდინში.** ნორვეგიაში მოელიან მთავრობის გადადგომას. ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობის შედგენა ლიბერალებს დაევალება.

— **თეთრგვარდიელებს მიერეკებიან.** ოსმალეთის პრესა ენერგიულ კამპანიას აწარმოებს რუს თეთრგვარდიელების წინაამდეგ, რომლებსაც ინგლისის წარმომადგენელი ჩაილდსი გამოესარჩლა. ჩაილდსმა განაცხადა, რომ თეთრგვარდიელები 5 წელიწადს დარჩებიან „სტუმრათ“ სტამბოლში. ოსმალეთის მთავრობას კი განზრახვა აქვს ახლო ხანში გაამევოს ისინი.

— **მუშების უკმაყოფილება.** პოლონეთის მთავრობის მიერ ზემო-სილეზიაში 10 საათი სამუშაო დღის შემოღებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებს შორის. მუშები იწვევენ მთელ რიგ ყრილობებს შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

— **მაკდონალდი და იუზი.** მაკდონალდს რამდენიმეჯერ ჰქონდა თათბირი ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრ იუზთან, განხილული იქნა საკითხი განიარაღების და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

— **აფეთქება.** პლევნაში (ბულგარეთი) აფეთქდა პოლიტიკური პოლიციის შენობა. აფეთქების დროს დაიღუპა პოლიციის გენერალური ინსპექტორი.

— **საბერძნეთში.** საბერძნეთის დეპუტატთა პალატამ ხმების დიდი უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. მთავრობა გადადგა.

— **მართალია კი?** საფრანგეთის დეპუტატმა რენოდელმა განაცხადა, რომ სამხედრო ბეგარის მოხდის ვადა 18—თვიდან 12-მდი იქნება შემცირებული.

— **სამრეწველო კრიზისი ამერიკაში.** რკინეულობის წარმოება ამერიკაში მაისთან შედარებით ივნისში 20 პროცენტით დაეცა.

— **ფინანსიური კრიზისი დანიაში.** კოპენჰაგენის გამნაღდებელმა ბანკმა შესწყვიტა თავისი ოპერაციები.

— **კრიზისი გერმანიაში.** გერმანიის „ბითუმათ მოვაჭრეთა კავშირის“ ცენტრალური ბიუროს ცნობებით, გერმანიაში უკანასკნელ ხანებში გაკოტრდა 2000 მსხვილი ფირმა.

— **კომფრაქციის პროტესტი.** გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქციამ პროტესტი განუცხადა რეიხსტაგის თავმჯდომარეს რეიხსტაგის კომფრაქციის ბინაზე ჩხრეკის მოხდენის ნებართვის გაცემისათვის.

— **მაკ-ლორენი ცოცხალია.** ამერიკელი მფრინავი მაკ-ლორენი, რომელსაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ამაოთ დაეძებდნენ იაპონიისა და ამერიკის ნაღმოსნები, იპოვეს.

— **მთავრობის კრიზისი ნორვეგიაში.** ნორვეგიის ზედა-პალატამ უარყო მთავრობის წინადადება სპირტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვის გაუქმების შესახებ. მოელიან მთავრობის გადადგომას.

— **კომუნისტური პროპაგანდისათვის.** „როტე ფანე“-ს ცნობით უკანასკნელ ხანებში ინდოეთში კომუნისტური პროპაგანდისთვის პასუხისგებაში მისცეს 111 ინდუსი.

პროფინტერნის კონგრესი

21 ივლისის სხდომა

რეზოლიუცია ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო

მოსკოვი. 22 ივლისი. ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო, საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანების შესახებ, კონგრესი იღებს ხმების დიდი უმრავლესობით, წინაამდეგ 2 (ერთი ჰოლანდიელის და ერთი გერმანელ დელეგატის) ხმისა, რეზოლიუციას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „კონგრესს არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია ბრძოლა რეფორმის ყოველგვარ გამოხატულებასთან და დაუზოგავად ამჟღავნებდა მის მოღალატურ ბუნებას. პროლეტარულ ძალთა კონცენტრაციისათვის და აგრეთვე მუშათა ბრძოლის ხელმძღვანელობაში მთლიანობის შესატანად კონგრესს თავის აქტუალურ ამოცანად მიაჩნია მუშათა მასებს შორის ფართო კამპანიის წარმოება საერთაშორისო პროფმოძრაობის და პროფკავშირთა მთლიან ინტერნაციონალის დაარსების სასარგებლოთ. მასების სათანადო მომზადების შემდეგ ერთერთ შესაფერ ნაბიჯად იმ მიმართულებით შეიძლება ჩაითვალოს ორთავე ინტერნაციონალის შემადგენელ ორგანიზაციების გაერთიანებულ ინტერნაციონალურ კონგრესის მოწვევა პროპორციონალურ წარმომადგენლობის საფუძველზე; საერთო წესდების გამომუშავება და ახალ გაერთიანებულ ინტერნაციონალის აღმასრულებელ ორგანოების შექმნა. ამასთანავე კონგრესი მიზანშეწონილად სთვლის იმას, რათა პროფინტერნში შემავალმა ცალკე ორგანიზაციებმა ხელიდან არ გაუშვან არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა ამსტერდამის ინტერნაციონალთან, მის ცალკე ნაწილებთან და ერთიანი ფრონტის განხორციელების შესახებ იმ პირობით, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში იყოს პროფინტერნის დასტური და ხელმძღვანელობა. კონგრესი ირჩევს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის განსაკუთრებულ კომისიას 17 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ევალება პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს ხელმძღვანელობით აწარმოვოს ენერგიული მუშაობა ზემოაღნიშნულ მიმართულებით და პირველ ყოვლისა დაიჭიროს კონტაქტი ინგლისის ტრედიუნიონებთან და, თუ საჭირო იქნება, ამსტერდამის ინტერნაციონალთანაც“.

წითელ რესპუბლიკებში

უკრაინა

დიდი ხანძარი

ბახმუტი 22 ივლისი. გაჩნდა დიდი ხანძარი სავაჭრო უბანში იწვის „ლორკა“ „უკრაინბანკის“ „რაბოჩი დონბასს-“ის გამომცემლობის საწყობები, დაიწვა დიდძალი საქონელი. ზარალი დიდია. ხანძარი ძლიერდება.

ხანძარის მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული.

ამხ. ამხ. ზინოვიევი და ბუხარინი როსტოვში.

დონის როსტოვი, 19 ივლისი. როსტოვის მუშების, პარტიულ პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლების კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ამხ. ზინოვიევმა და ბუხარინმა.

ამხ. ზინოვიევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა კავშირი დღითი-დღე მტკიცდება. კავშირის ზოგიერთ ოლქებში მოსავალი ცუდია, მაგრამ ეს არ იძლევა არავითარ საბაბს, შიში ვიქონიოთ, რადგან მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები და პური მოუსავლიან ადგილებს თავის დროზე გაეგზავნება. წრევანდელი მოუსავლობა საშიში არ არის, მაგრამ ჩვენ ამ მოუსავლობამ უნდა გვაიძულოს უდიდესი ყურადღება მივაქციოთ სასოფლო მეურნეობის ამაღლებას. მთავრობამ უკვე გადადო 20 მილიონი მანეთი სამელიორაციო მუშაობისათვის.

თამბაქოს მოსავალი

მოსკოვი, 19 ივლისი. ხშირი წვიმების გამო თამბაქოს ნათესები უკრაინაში ისე გამოკეთდენ, რომ მიმდინარე წელს მოსალოდნელია გასულ წელზე არა ნაკლები მოსავალი. უკანასკნელ ხანებში თამბაქოს ფასებმა 40 პროცენტით დაიკლეს.

სამრეწველო ორგანოების თათბირი

მოსკოვი. 21 ივლისი. ამხ. ძერჟინსკის თავმჯდომარეობით შესდგა ტრესტების, სინდიკატების, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ცენტრ. საკონტროლო კომისიის წარმომადგენელთა თათბირი მთავარ ეკონომიურ სამმართველოს მოხსენების გასახილველად. მოხსენება ეხებოდა შრომის ნაყოფიერებას და საჭირო ზომებს ამ ნაყოფიერების ასაწევად.

ამხ. ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ თათბირის მიზანს შეადგენს ყველა ორგანოების გაერთიანება შრომის ნაყოფიერების ასაწევად და ამ აწევის მნიშვნელობის სისწორით შესაფასებლად. ეკონომიურ სამმართველოს სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. გინსბურგმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე დამოკიდებულია საწარმოო იარაღების გაცვეთაზე, ნედლი მასალის ხარისხის გაუარესებაზე, წარმოებების არასაკმარისად დატვირთვაზე, დამხმარე წარმოებების სიმრავლეზე, საბრუნავ საშუალებათა ნაკლულოვანებაზე, მუშათა კვალიფიკაციის და შრომის ინტენსიობის დაწევაზე.

წარმოებების შიგნივ საჭიროა მოხდეს შემჭიდროება და ცეხების და განყოფილებათა გადაჯგუფება, დამხმარე წარმოებათა ქსელის გადასინჯვა, სითბოს ენერგიის მეურნეობის რაციონალურად დაყენება და კვალიფიციურ მუშების ახალი კადრის შექმნა.

ამხ ძერჟინსკიმ საბოლოო სიტყვაში სთქვა: „დღევანდელი კრება უნდა ჩაითვალოს საკითხის დაყენებად წარმოების მაქსიმალურად გადიდების შესახებ. დღევანდელი დღიდან ჩვენმა სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს დეე თვითეულ ქარხნის დირექტორმა, ტრესტის თვითეულმა მუშაკმა მხედველობაში იქონიონ ეს ამოცანა. დეე შემოწმონ თავიანთი მიღწევანი და ანგარიში გაუწიონ იმ ნაკლულოვანებას, რომელიც ხელს უშლის საკითხის გადაჭრას“.

შაქარი საკმაოთ გვაქვს

საუბარი საბჭოთა კავშირის შინა ვაჭრობის სახ. კომისარ ამხ. ლეჟავასთან.

მოსკოვი, 21 ივლისი. ვინაიდან ხმა გავრცელდა, თითქოს შინაურ ბაზარზე შემცირებულიყო შაქრის მარაგი, „როსტას“ თანამშრომელმა მიმართა საბჭოთა კავშირის შინა ვაჭრობის სახ. კომისარს ამხ. ლეჟავას, რომელმაც განაცხადა: შაქრის ბაზარი ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ არავითარი კრიზისი არ არის მოსალოდნელი. ძირითადი გეგმის მიხედვით, ყველა რაიონები ახალ მოსავლამდე უზრუნველყოფილნი არიან შაქრის საკმაო მარაგით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც, ახალი მოსავლის 2 თვით ადრე ამ საქონელს ბაზარზე გამოტანა შეფერხდება. გავითვალისწინეთ რა ეს გარემოება და აგრეთვე ჩვენი აღმოსავლეთის ბაზრების მოქმედებათა თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ჩვენ წინასწარ შევიძინეთ საზღვარგარეთ 3 მილიონი ფუთი შაქრის ფხვნილი. შეყიდული შაქარი, უკვე მოსულია ჩვენს ნავთსადგურებში და ამ მოკლე ხანებში შაქრის მთელი მარაგი გამოტანილ იქნება ბაზარზე.

პარტიული ცხოვრება

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს კომუჯრედში

8 ივლისს პლეხანოვის კლუბში შესდგა რკინისგზის მთავარ სახელოსნოს კომუჯრედის კრება. თავმჯდომარეობდა შილდიაევი. მდივნობდა პივნენკო. მოხსენება გააკეთა სახელოსნოების უფროსმა ინჟინერმა მაისუროვმა. მან ნათლად დაასურათა სახელოსნოს წარმოების ეხლანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი. შეეხო სახელოსნოების მუშაობის შეჩერებას საჭირო რემონტის გამო.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობას. მუშების მხრივ იყო აუარებელი შეკითხვები, რომელსედაც მათ გარკვეული პასუხი მიიღეს მომხსენებლისაგან.

დასასრულ გამოტანილ იქნა ორი რეზოლიუცია ერთი მოხსენების შესახებ, და მეორე მუშების ბინით უზრუნველყოფის შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ლეიმმა უჯრედის წინანდელ კრებაზე. კრებამ გასტანა საღამოს 11 საათამდე.

ნ. ჯავახიძე.

პარტმუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

ლეჩხუმის ორგანიზაციაში არის 374 წევრი და კანდიდატი. კომუჯრედები სულ 34.

მაზრაში არის ოთხი რაიკომი. კომუჯრედების კრებები მიმდინარეობს სისტემატიურათ. უჯრედების კრებებზე წევრთა დაკლება საპატიო მიზეზების გარეშე იშვიათია.

გამოყოფილია ხუთი სანიმუშო კომუჯრედი, არსებობს რვა პოლიტ-წრე, მიღებულია ზომები მათი მუშაობის დონის ასამაღლებლათ. რაიონების შემოვლა მაზრკომის წევრებისაგან სწარმოებს სისტემატიურათ, ყველა რაიონებზე არის მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები, რაიკომის წევრები მიმაგრებულია კომუჯრედებზე, რომელთა დათვალიერება ხდება რეგულიარულათ ყოველ თვეში ერთხელ, ტარდება რაი-ორგანიზაციების გაერთიანებული კრებები, თვეში ერთხელ კომუჯრედების მდივნების და აგრეთვე რაიკომების მდივნების თათბირი. მაისში ჩატარებულ იქნა ლენინიზმის შესწავლის საქმე. მაზრის ცენტრში არსებობს ლენინიზმის შესწავლის ერთი წრე. გლეხობა დიდის ნდობით უყურებს კომპარტიას, კომუჯრედების ღია კრებებზე დასწრე უპარტიო გლეხობის რიცხვი საკმაოა.

კომუჯრედებს უკანასკნელ ხანებში მეტი აქტივობა ეტყობა, რაც გამოიხატება გლეხკომების და კოოპერატიულ მუშაობაში, და მიწის რეფორმის გატარებაში მხურვალე მონაწილეობის მიღებაში. ინტრიგებს, სიმთვრალეს და უდისციპლინობას ალაგი არ აქვს. საერთოდ კულტურული დონე ორგანიზაციის დაბალია.

პარტმუშაობის გამოფხიზლებას ხელი შეუწყო ცეკას მიერ მაზრაში პარტძალების გადმოგზავნამ. მუშაობა ყველაზე უფრო კარგათ მიმდინარეობს ლაილაშის და მექვენის რაიონებში, მოისუსტებდა ჩოლურის და ოყურეშის რაიონი, სადაც მაზრკომმა ამ ბოლო ხანებში გადაგზავნა საკმაოდ მომზადებული ძალები.

ქალთა შორის მუშაობა გამოცოცხლდა, მუშაობა სისტემატიურად სწარმოებს: ცაგერში, ლაილაშში, [illegible]ბალოში, მექვენაში. დელეგატური კრებები სწარმოებს სისტემატიურად. გამოყოფილია ქალთა ერთი პოლიტწრე, რომელზედაც მიმაგრებულია სათანადოთ მომზადებული ამხ. პარტ. და საბჭოთა ორგანოებს შორის მუშაობა კონტაქტიურია. მაზრკომი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა აპარატებს, მუშაობას მეტის მეტად ხელს უშლის ცენტრისაგან სიშორე. ხშირია შემთხვევები, როდესაც მაზრა იღებს ცირკულიარებს, განკარგულებებს და ლიტერატურას ორი კვირის დაგვიანებით.

ერთი თვეა, რაც რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მაზრაში. წევრთა რიცხვი უდრის 460. დაიდგა ყველა რაიონებში რემედასის სასარგებლოდ წარმოდგენები. საჭიროა საწევრო აპარატი და ლიტერატურა. საჭიროა იგზავნებოდეს ჟურნალი „რემედას“ 150 ცალამდე.

პროფკავშირებში მუშაობა გარდა განათლების მუშაკთა კავშირისა დღემდის მოისუსტებდა.

მაზრაში სწარმოებს ხეტყეზე მუშაობა, რვა თვეზე მეტია, დღიდან მუშაობის დაწყებისა დაარსდა ხეტყის მუშაკთა ადგილკომი. ამ კავშირში შედის ულარიბესი გლეხობა რიცხვით 500 კაცამდე. ეს კავშირი ჯერჯერობით არ არის სათანადოთ ჩამოყალიბებული ლეჩხუმის მაზრაში ხეტყის მუშაობა არ არის დროული, ცენტრალურ ხის დამზადებელი კავშირი არ აწარმოებს სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს. საჭიროა ყურადღება და მოვზავნა მომზადებული ინსტრუქტორისა ადგილობრივ ხეტყის მომუშავეთა კავშირის კუთვნილებისამებრ ჩამოსაყალიბებლად.

კომკავშირს დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდობაში. ის უკვე ინიციატივას იჩენს და აქტიურ როლს თამაშობს კულტურულ საქმიანობაში. კავშირის წევრთა რიცხვს ზრდა ემჩნევა. ხუთი თვეა, რაც ახ. კომკავშირის მაზრკომმა შესძლო დაარსებაია ქვემო-სვანეთში კავშირის ორგანიზაცია ადგილობრივ, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ა. ჭაბუკიანი. მუშაობა მოისუსტებს მექვენის და ოყურეშის რაიონში.

ქოხსამკითხველოებმა ვერ შესძლეს შესაფერისი როლის შესრულება სოფლად კულტურულ მუშაობის წარმოებაში. ზოგიერთ რაიონებში მაზრკომის ხელმძღვანელობით და ადგილობრივ საშუალებებით გადაკეთებულ იქნა ექვსი ეკლესია თეატრებათ. ნაწილი ეკლესიების შენობებისა მოხმარდა სკოლებს. დანარჩენებში კი ყველგან არსებობს სამკითხველოები, რომლებიც სამწუხაროთ გაზეთებს ვერ ღებულობენ თავის დროზე, გაზეთების კითხვა ხდება ხმამაღლა. ზოგიერთ სოფლებში ადგილობრივ ინიციატივით სდგამენ სამკითხველოებისათვის შენობებს.

მაზრას საკმაო აგრონომები არა ჰყავს შეიძლება ითქვას, აგრონომები, რომლებიც არიან, აქ მათ ამ დარგში ანაანიც არ იციან. სოფ. გ. გლეხობა სავსებით ჩამოშორდა ცრუ ეკლესიას, რომლის ნაცვლად ის კულტურას ებღაუჭება. ყოფილ ეკლესიებში ადგილობრივ დასის მიერ ყოველ თვეში ორჯერ იმართება წარმოდგენები.

მიწის რეფორმის ჩატარებაში აქტიური როლი ითამაშა ღარიბ გლეხობამ. ჩამორთმეულია სახნავ-სათესი 418 დესეტინა, რაც განაწილებულია ათას მცხოვრებზე. ტყეები და უვარგისი ადგილები ჩამორთმეული 1133 [illegible] გვალვამ პურის მოსავალი გაანახევრა. ნიაღვარმა მოსავალი თითქმის ნახევრათ გააფუჭა. საკვირველია რით ხელმძღვანელობდა ავტორი წერილისა: ლეჩხუმის მაზრა არ დაიმშევა; გაზეთ „კომუნისტი“ № 151. მაზრაში შიმშილი მოსალოდნელია, არის კომისია შექმნილი, რომელიც იკვლევს მოსავლის ზარალს. გლეხობას იმედი აქვს მთავრობის დახმარების.

მაზრ-აღმასკომის სათანადო ხელმძღვანელობას უწევს ქვემდებარე საბჭოთა აპარატს. გარაიონებამ დიდი ნაყოფი მოიტანა. სასოფლო საბჭოებმა სამი თვეა, რაც დაიწყო მუშაობა, კეთდება სასოფლო გზები და ხიდები. მაზრ-აღმასკომი აწარმოებს გეგმიან მუშაობას. წარსულ სამი თვის განმავლობაში მან შესძლო დანგრეული გზების შეკეთება, ააგო ხიდი რიონზე მექვენის რაიონში ადგილობრივი საშუალებებით. მაზრაღმასკომმა ცენტრის დახმარებით ხელი მოკიდა ორბელის ხიდის აგებას მდინარე ლაჯანურაზე. ხიდს დასჭირდება 22.000 მანეთი. სიგრძე ხიდს ექნება 45 საჟენი. აღმასკომმა შესძლო მოეწყო ლაშხეთის და ძულურის კურორტები, ქ. ცაგერზე ცხენის წყლიდან გამოიყვანა არხი სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გვალვის დროს არხმა დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ გლეხობას. აღმასკომმა ხელი მოჰკიდა მექვენის რაიონის ბარიტის ექსპლოატაციას, რის შესახებ საორგანიზაციო მუშაობა უკვე დამთავრებულია. ბარიტი იმყოფება 100 კვადრატიულ ვერსზე. მექვენის რაიონში ბარიტის მუშაობის ნორმალურ წარმოებით გაანგარიშებულია მიეცეს მაზრას წლიურად 60.000 მანეთი წმინდა შემოსავალი.

მაზრის დიდ სიმდიდრეთ უნდა ჩაითვალოს ჯერ კიდევ ხელშეუხებელი ტყე, რის ექსპლოატაციასაც აპირებს აღმასკომი. საჭიროა ცენტრიდან ხელის შეწყობა.

დღეს-დღეობით მაზრაში ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაშია სკოლების შენობები. თითქმის ყველა სკოლებს სჭირდება კაპიტალური რემონტი. ადგილობრივ გლეხობას მოსავლის უვარგისობის გამო არ შეუძლია გაიღოს სათანადო წვლილი სკოლების შეკეთებისათვის. უკეთუ ცენტრიდან დახმარება არ მოხერხდა, მათი სკოლების ერთი მესამედი მაინც სრულებით უვარგისი იქნება მეცადინეობისათვის.

სოფლად კულტურული მუშაობის დონე შედარებით წარსულ წლებზე მაღლა სდგას.

ი. სვანიძე.

ეკონომიური ცხოვრება

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

მევამბეობის აღსადგენად.

უმაღ. ეკონ. საბჭოს დადგენილებით ცენტრალურ კომიიის მოხსენება მევამბეობის მთლიანი აღსადგენი გეგმის შესახებ გადაეცა განსახილველად ა.-კ. ს. ფ. რ. გეგმათა სამმართველოს.

კოოპერაციის ვალის გადახდის ვადის გაგრძელება

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შესაძლებლად სცნო გაუგრძელოს აღებულ სესხის გადახდის ვადა კოოპერატიულ ორგანოებს, რომელთაც სესხი წამოღებული აქვთ ა|კ ფინ. სახ. კომი-დან, 1925 წლის 25 ოქტომბრამდე სესხის გადახდის ვადა გაუგრძელდა: აზერბეიჯანის კოოპერატ. კავშირს, რომელსაც წაღებული აქვს 80,000 მანეთი „აიკოპს“ (სომხეთის კოოპერატ. კავშირს) სესხად წაღებული აქვს—40,000 და „ცეკავშირს“—წაღებული აქვს 180 ათასი მანეთი.

ნედლეულობის კომიტეტის გაუქმება

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა გააუქმოს ა|კ. ნედლეულობის კომიტეტი, რომლის ფუნქციებიც გადაეცემა ა|კ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს ა|კ. ფინ. სახკომიტეტს წინადადება მიეცა გაუხსნას კრედიტი 1.073 მანეთის ა|კ. შინავაჭ სახ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს ნედლეულობის კომიტეტის ვალების დასაფარავად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ქონების აღწერა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დასაბეგრი ქონების ობიექტების აღწერა საქართველოში უკვე დამთავრდა და ამ ჟამათ ყველა მაზრებში სწარმოებს დაკვრითი წესით სხვადასხვა კულტურის მიწების და საქონლის გადაყვანა სახნავ მიწაზე და მათი შეხაერთების ჯამების დამუშავება.

როგორც ყველამ იცის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადში საგადასახადო ერთეულათ დაწესებულია ერთი დესეტინა სახნავი მიწა. ამრიგათ რამდენი დესეტინა სახნავი მიწისა აქვს ამა თუ იმ სოფლის მეურნეს, იმდენად უნდა გამრავლდეს გადასახადის განაკვეთი დესეტინაზე ამა თუ იმ რაიონში და მივიღებთ მთელ გადასახადს ერთ სოფლის მეურნეობაზე,—ხოლო ვინაიდან ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია და მასში, გარდა სახნავ მიწისა, ბევრია სხვადასხვა კულტურის მიწები—ვენახები, ბაღები, ბამბა, თამბაქო და სხვა,—ყველა ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გადატანილი სახნავ მიწაზე თანახმად იმ ეკვივალენტებისა, რაც ნაჩვენებია ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში 21 მაისიდან ა.|წ., თანახმად ამავე დადგენილებისა სახნავ მიწაზე უნდა იქნეს გადაყვანილი აგრეთვე საქონელიც, როგორც მუშა, ისე საჭირო და სახორცე—მსხვილი და წვრილფეხა.

აი სწორეთ—ამ ჟამად ადგილებზე მიმდინარეობს ამგვარი მუშაობა ფაქტიური აღწერის შემდეგ; აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში გორის მაზრის და სამხრეთ-ოსეთის გამოკლებით უკვე დამთავრდა ეს მუშაობაც და საბოლოოდ დამუშავებული სამაზრო ნუსხები დასაბეგრი ქონებისა უკვე წარმოდგენილია.

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში თავის დროზე, საღწერო მუშაობა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში 22 მაისიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში ივნისის პირველიდან—აღწერაში იღებდენ მონაწილეობას 326 კაცი ფინინსპექტორების თანაშემწეებით. აღწერა სწარმოებდა ადგილობრივი [illegible] და ფინინსპექტორების [illegible] ხელმძღვანელობით.

საქართველოს ფინსახკომის [illegible] თველოს სასოფლო-სამეურნეო სახადის განყოფილებამ უკვე [illegible] საღწერო მუშაობის წვრილებითი ანალიზი მისი [illegible]ით და უარყოფითი მხარეებით.

ამასთან დაკავშირებით ამ[illegible] მმართველოს სასოფლო-სამ[illegible] განყოფილება შეუდგა საქართ[illegible] ეკონომიური მიმოხილვის შ[illegible] ამჟამად სწარმოებს საჭირო სა[illegible] და ცნობების შეკრება.

კოოპერაცია

ცეკავშირის მუშაობა

სასოფლო-სამეურნეო დარგის საქმიანობა

მიმდინარე წლის მაისში—ივნისში ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება მუშაობდა ქართლ-კახეთში და იმერეთში.

კახეთში: სოფ. ყვარელში აღებული აქვს ცეკავშირს 26 დესეტინა მიწა, რომელზედაც მუშაობა სწარმოებს შემდეგი მასშტაბით: 1) ამერიკული ჯიშის ვაზის სანერგე 4 დესეტინა ვაზის ჩანერგვა, გათოხნა, მორწყვა, 2) დესეტინა ბამბის პლანტაცია კინგის ჯიშისა თესლისათვის; 3) ერთი დესეტინა მწკრივათ დათესილი სიმინდი და 4) დათესვა ნახევარ დესეტინაზე იონჯისა. ამავე სოფელში ამ ორი თვის განმავლობაში დამთავრდა მუშაობა ლობის ბოძების ჩასმით და ვაზების და არხების გაყვანით. სოფ. წნორის-წყალი—1 დესეტინა ამერიკული ვაზის გათოხნა და მორწყვა, სამი დესეტინა ბამბის პლანტაციის გათოხნა და ნახევარი დესეტინა იონჯის მოვლა. გარდა ამისა ცეკავშირის აგრონომი აწარმოებდა მუშაობას მოსახლეობისათვის აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობაში რჩევა-დარიგების მიცემით და უხელმძღვანელებდა მეურნეთ ხეხილის და ვაზის წამლობაში.

ქართლში: მაის-ივნისის განმავლობაში ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მთელ[illegible] რადღება მიქცეულ იყო ხეხილ[illegible] წამლებელ პუნქტების მო[illegible] მთელი ქართლის მეხილეობ[illegible] ნი გაყოფილ იქნა ოთხ ნაწ[illegible] თვითეულ რაიონში შესდგ[illegible] ხუთ-ექვს კაცისაგან შემდგარ[illegible] რომელიც აწარმოებდა თავის [illegible] ბის ბაღების შეწყვას. [illegible] რაიონში დღემდე არის [illegible] 5.100 ძირი ხეხილი, რაც [illegible] ლობრივ კოოპერატივს სამ[illegible] მისცემს შეიძინოს 3.000 ფუ[illegible] ლი; ტყვიავის რაიონში [illegible] დაახლოვებით 6.500 ძირ[illegible] ხეებში ბაღ-ვენახები სამ[illegible] ტინამდე და ქვემო ჭალის [illegible] ორმოცი დესეტინა ვენახი. [illegible] პუნქტებისათვის შეძენილ [illegible] რიზის ფხვნილი, ავტომატები, [illegible] მორელის აპარატები და [illegible]

იმერეთში: სამტრედიის და [illegible] ნის რაიონში სწარმოებდა [illegible] და ხეხილების წამლობა, [illegible] გაიგზავნა ოთხი ავტომატი და [illegible] ვერმორელის აპარატი, [illegible] გოგირდი და სხვა. ამის [illegible] ფელ ფარცხანაყანევში [illegible] აწარმოებს სათესლე ბოსტან[illegible] დათესილია საუკეთესო ჯიშის [illegible] დორი, ხახვი, კომბოსტო და [illegible]

ცეკავშირის საბანკო განყოფილება

1 აპრილიდან 1 ივლისამდე ცეკავშირის საბანკო განყოფილების მიერ მოწყობილია სულ 36 საკრედიტო განყოფილება სხვადასხვა კოოპერატივებთან, რომლებიც მაზრების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირათ: 1) სიღნაღის მაზრა—6, 2) თელავის—5, 3) თბილისის—1, 4) გორის—7, 5) ქუთაისის—9, 6) ოზურგეთის—3, 7) ზუგდიდის—3, 8) რაჭაში—1 და 9) შორაპანის—1. ამ კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებათა შორის 16-ს უკვე მიცემული აქვს ცეკავშირის საბანკო განყოფილებისაგან გრძელვადიანი—6 თვიანი სესხი საბრუნავ თანხით, სულ 64.139 მან.

ამის გარდა ცეკავშირის გამგეობამ, როდესაც გადასწყვიტა საბანკო განყოფილების გახსნა, აღუთქვა მას სპეციალური ფონდის მიცემაც—ასი ათასი მანეთისა. ამ ფონდის ანგარიშში განყოფილებამ მიიღო ცეკავშირის გამგეობისაგან მხოლოდ 7.350 მანეთი. მაშასადამე საბანკო განყოფილება მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ გარედან მოზიდულ თანხებით. ეს არის: უმთავრესათ ანაბარზე მობარებული ფული. განყოფილებას ჰქონდა ანაბარი: 1 მაისისათვის 140.861 მან. 75 კაპ., 1 ივნისისათვის 137,804 მან. 81 კაპ. ამასთანავე ცეკავშირის საბანკო განყოფილებამ შესძლო საკუთარი საპაიო თანხების შეგროვებაც. საპაიო თანხა იყო: 1 აპრილისათვის 4.188 მ. 50 კაპ., 1 მაისისათვის 5.628 მ. 50 კ., 1 ივნისისათვის 6.327 მან. 50 კ. და 1 ივლისისათვის 7.002 მ. 50 კაპ.

1 ივლისისათვის ცეკავშირის [illegible] ბანკო განყოფილების ყველა ხარჯ[illegible] როგორც საორგანიზაციო, [illegible] მიმდინარე, უდრიდა 4.582 მ[illegible] 26 კაპ. და შემოსავალი ([illegible] %% და კომისია) 5.934 მან. 3[illegible]

საბანკო განყოფილების მიერ [illegible] მული თანხებით უკვე მუშაობ[illegible] საკრედიტო განყოფილება. ამ გა[illegible] ფილებებმა დაახლოვებით სამი [illegible] განმავლობაში გასცეს სესხი [illegible] პირზე ჯამით 73.957 მან. [illegible] წევრებზე, ისე კოოპერატივე[illegible] ობაზე. ამრიგათ სესხის ს[illegible] ჯამათ უნდა ჩაითვალოს 20 მ[illegible] შემჩნეულია, რომ საკრედიტო [illegible] ყოფილებათა მეოხებით საგრძნ[illegible] მატულობს წევრთა რიცხვი კოოპ[illegible] ტივებში.

წმინდა ფინანსიურ საქმიანობის გარდა, ცეკავშირის საბანკო გა[illegible] ფილება აწარმოებდა აგრეთვე [illegible] განიზაციო მუშაობასაც. ცეკავ[illegible] საბანკო განყოფილების მიერ [illegible] შავებულია და გამოცემულია [illegible] დიტო განყოფილებებში [illegible] ყველა დავთრები და ბლანკები [illegible] რიშთ-წარმოებისათვის, [illegible] დაწვრილებითი ინსტრუქციები.

საორგანიზაციო მუშაობის [illegible] მოებლათ და კოოპერატივებში [illegible] გებათა მისაცემათ განყოფ[illegible] 9 მაისიდან მოიწვია სპეციალ[illegible] ინსტრუქტორი, რომელმაც უკვე [illegible] მოიარა 11 კოოპერატივი.

რკინის გზებზე

ხაშურის უბნის რკინის გზის კავშირის გაფართოებული პლენუმი

9 ივნისს შესდგა ხაშურის უბნის რკ. გზ. რაიონული კავშირის გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი: ა.|კ. რკინის გზების კავშირის მუშაობა და რკინის გზის საუბნო კომიტეტების დამოკიდებულების შესახებ.

მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ქავთარაძე, რომელმაც აღნიშნა პროფკავშირთა ურთი-ერთშორის არა მჭიდრო დამოკიდებულება.

ა.|კ. რკ. გზ. კავშირს, აღნიშნა მომხსენებელმა, აქვს 6 დასასვენებელი სახლი. გახსნილია პროფმოძრაობის კურსები, წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა და მიქცეული აქვს ჯეროვანი ყურადღება კოოპერაციის აღორძინების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ა.|კ. რკინის გზების სამმართველოს არ [illegible] და სალარი, მაინც შესძლო კო[illegible]რატივების გაძლიერება. ამ [illegible] კოოპერატივები აკმაყოფილებ[illegible] ნისგზელ მუშათა მასსიურ მოთხ[illegible] ლებას.

ამხ. ქავთარაძე შეეხო რკ. გზ[illegible] მატარებლის დაზარალების მიზ[illegible] და აღნიშნა უკვე მიღებული [illegible] მები.

პლენუმმა ა.|კ. რკინის გზ[illegible] მუშაობა სცნო დამაკმაყოფილ[illegible] და დაავალა მიიღოს ენერგ[illegible] ზომები დაბალ მუშა-მოსამსახ[illegible] ჯამაგირების მოსამატებლად.

რაც შეეხება რკ. გზებზე მატ[illegible] ბელთა დაზარალებას, პლენუმმა [illegible] მოსთქვა აზრი, შეიქმნას მკაცრი [illegible] მისა და პროფესიონალური დის[illegible] ლინა.

ა. კ. რკინისგზელთა კავშირის პლენუმი

21 ივლისს შესდგა ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის პლენუმი. პლენუმზე ჩამოსულნი არიან ამხანაგები სხვა და სხვა საუბნო პროფკავშირებიდან. პლენუმი უნდა გასცნობოდა პროფკავშირის მუშაობას და ამნაირათ მოემზადებინა ნიადაგი რკინისგზელთა მესამე კონფერენციისათვის.

სხდომას ხსნის ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. ქავთარაძე. თავის მისასალმებელ სიტყვაში ის უსურვებს პლენუმს ნაყოფიერ მუშაობას. ამხ. ქავთარაძე [illegible] დღის წესრიგს:

1. ა.-კ. რკ. გზის პროფკავში[illegible] პრეზიდიუმის ანგარიში. რკინისგზ[illegible] თა—მეორე კონფერენციიდან—დღ[illegible]დე.
2. ა.-კ. რკ. გზ. სამმართვე[illegible] უფროსის მოხსენება გზათა მდგო[illegible] რეობის შესახებ.
3. იმისავე მოხსენება ნაციონ[illegible] ზაციის გატარების შესახებ ა.-კ[illegible] გზებზე.
4. მიმდინარე საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმის პლენუმი

...რკ. გზის პროფკავშირის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქავთარაძე. იგი უკეთებს ჯამს პრეზიდიუმის საქმიანობას მეორე კონფერენციიდან დღემდე.

პირველ რიგში ის აღნიშნავს პროფკავშირის წევრთა შემადგენლობას რიცხობრივად და მათ ნაციონალურ შემადგენლობას. აშკარაა, ასეთ დიდ პროფესიონალურ ორგანიზაციაში, ტერიტორიაა ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირი, საჭირო იყო მტკიცედ დაცვა პროფესიონალური დისციპლინისა. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დისციპლინა უღრესად განმტკიცებული და დაცულია.

პრეზიდიუმის საქმიანობას ხშირად ხელს უშლიდა ფინანსიური კრიზისი. რკ. გზ. პროფკავშირის საშუალებებს დიდი ზიანი მიაყენა ჯერ კიდევ ა.-კ.-ის ბონებმა. ეხლა, როდესაც მთელს საბჭოთა კავშირში შემოღებული არის მტკიცე ვალიუტა, პროფკავშირს უჩდება უფრო ფართოდ მიაქციოს ყურადღება მუშათა მატერიალურ მდგომარეობას. ამისათვის პრეზიდიუმმა უკვე შესძლო ზოგიერთი შედეგების მიღწევა, ასე მაგალითად: 1 აპრილიდან ჯამაგირის გადიდება მიმდ. სამუშაოებზე მომუშავეთათვის 50 პროც. და დანარჩენებზე კი—25 პროცენტით.

ძლიერ ცუდ პირობებში არიან ... მოსამსახურენი, რომელთათვის ჯამაგირის გადიდებაზე ზრუნავს პროფკავშირი: ამ მოსაზრებით პრეზიდიუმმა გაგზავნა მოსკოვში ამხ. კოლოსოვი, რომელიც შეეცდება ყოველმხრივ მოაგვაროს ეს საქმე.

განათლების დარგი: პრეზიდიუმის მუშაობა განათლების დარგში კარგად მიმდინარეობს. უმთავრესი სამუშაო ამ დარგში იყო წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1924 წ. 1 იანვრისათვის წ.-კ.-ის უცოდინართა რიცხვი 1,541 იყო. ამათგან ერთმა ნაწილმა უკვე შეისწავლა წერაკითხვა და მეორე ნაწილიც ეხლა სწავლობს. მოსწავლე—მუშები 2 საათით თავისუფლდებიან სამუშაოდან. ამხ. ქავთარაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მესამე კონფერენციისათვის ჩვენ წ.-კ. უცოდინარი მუშები სრულიად აღარ გვეყოლება. რაც შეეხება საკლუბო მუშაობას; პროფკავშირს აქვს 26 კლუბი, გარდა ამისა მრავალი ბიბლიოთეკები. კლუბების შესაკეთებლად მან გაიღო ფული. ბიბლიოთეკებში გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები ორსავე ენაზე და მრავალი ახალი წიგნები. ზოგი დრომოჭმულ ძველი წიგნებიდან ჩვენ უკვე გავანთავისუფლეთ სამკითხველოები და მათ მაგიერ ახალი წიგნებით შევაიარაღეთ ეს უკანასკნელნი.

შემფასებელ-საკონფლიქტო მუშაობა: ამ დარგში გაკეთდა ის, რაც შესაძლებელი იყო. მომხსენებელი ამუქებს შემფ.-საკონფ. კომისიების ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ ამხ. ქავთარაძე ეხება „ზაკტპო"-ს დამზღვევ სალაროს მოქმედებას, უბედურ შემთხვევის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს, ნაციონალიზაციის გატარებას რკ. გზაზე და სხ., სადაც სიცხოველე გამოიჩინა პროფკავშირის პრეზიდიუმმა.

კამათი.

შემოდის სხვადასხვა წერილობითი შეკითხვები, რომელზედაც ამხ. ქავთარაძე დასაბუთებულ პასუხს იძლევა. შემდეგ იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობენ ამხანაგები: ჯანჯალია, სადიროვი, ღოლობერიძე, პარქოსოვი, გრიგორიანი, გოგოლაძე, სემკოვი და სხვ.

ყველა ორატორი უთითებენ საერთოდ პრეზიდიუმს ხელფასის საკითხის მოუგვარებლობაზე, განსაკუთრებით ვრცლად ეხება ამ საკითხს ამხ. სემკოვი. მანვე მიათითა საკლუბო მუშაობის ზოგიერთ სუსტ მხარეებზედ და მასსიური მუშაობის უქონლობაზე.

ხელფასის შესახებ უპასუხებს მოკამათეებს ამხ. სტეპანოვი, ის ხაზგასმით აღნიშნავს მუშათა მდგომარეობას წინათ, რომელიც ეხლანდელთან შედარებით ძალიან ცუდი იყო. გაუმჯობესებისათვის გადადგმულია კიდევ ნაბიჯები და მომავალშიც დიდი შეღავათებისათვის ნიადაგი პრეზიდიუმისაგან მომზადებულია.

დასასრულ ამხ. ქავთარაძე საპასუხო სიტყვაში, უპასუხებს ყველა ოპონენტებს.

პლენუმის სხდომა კმაყოფილია პრეზიდიუმის მოქმედებით. რეზოლუციის გამომუშავება მეორე დღისათვის გადაიდო.

წითელ ჯარში

ჩვენი ასეული ბანაკად

ჩვენი საკავშირო ასეული თანდათან აფართოვებს თავის კულტმუშაობას ახლო-მახლო სოფლებში. ამ თვის თერთმეტს სოფ. №-ში გაიმართა ჩვენის თაოსნობით გლეხობის საერთო კრება, რომელიც გახსნა ადგილობრივმა სოფლის კომისარმა.

კრებაზე გაირჩა ამ სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის საკითხი.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა ... ამხანაგი, რომლებმაც მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ ჩვენს ასეულის ბიბლიოთეკასთან, რომელთაც ჩვენ გადაეცათ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენ ბანაკთან არიან დაბანაკებულნი, აგრეთვე რუსის, ადერბეიჯანის და სომხეთის საკავშირო ასეულები, რომლებთანაც მჭიდრო, ძმურ კავშირში ვართ და ყველა როგორც კამპანიების ჩატარება და სხვა, აგრეთვე კულტურულ ფრონტზე ერთად გამოდიოდართ.

ვმართავთ საღამო-წარმოდგენებს ბანაკში და სოფლებში, ვესაუბრებით გლეხებს მათთვის საინტერესო საკითხზე, ვშველით სამეურნეო დარგში და სხვა, რისთვისაც გლეხები ძლიერ მადლობელი არიან.

ამუშავდენ ჩვენი პოლიტ. დრამ. და ლიტ. წრეები. ვცემთ ყოველკვირეულ კედლის გაზეთს, სადაც მონაწილეობენ ჩვენი როგორც ძველი, აგრეთვე ახალწვეული წითელარმიელები.

ბიბლიოთეკა თავის სიმაღლეზეა. გვაქვს საკმაო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ სამწუხაროდ ამ ბოლო დროს აღარ მოგვდის გაზეთი „კომუნისტი" და „მუშა", რომელიც ძალიან საჭიროა აქ, მით უმეტეს ეხლა, როდესაც რამოდენიმე სოფელზე კულტშეფობა გვაქვს აღებული და ეს ყველაზე საჭირო გაზეთები კი არა გვაქვს.

ლ. ინფ—რი.

მე-2 ქართულ დივიზიაში

მე-4, 5, 6 ლეგიონები და დივ. სკოლა საკარვოდ გავიდენ, სადაც აწარმოებენ მუშაობას კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში და სამხედრო მეცადინეობას. შეიქმნა სხვადასხვა წრეები, იმართება საღამოწარმოდგენები, ხდება დაახლოვება გლეხობასთან; ჩვენი ძალები ყველგან ფრთებს შლიან და არ იშურებენ ძალ-ღონეს დივიზიის შესაფერ დონეზე დასაყენებლად. ჩქარის ტემპით სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

არის პატარ-პატარა ნაკლულევანებანი, მაგრამ იმედია ესეც მალე გამოსწორდება.

ორიოდე თვეც და ჩვენი მე-2 დივიზია ერთი საუკეთესოთაგანი იქნება წითელ არმიაში.

მეორელი.

ჩვენს ასეულში

1-ლ ქარ. დივ. ცალკე საკავშირო ასეულის საგარნიზონო ყარაულისთვის დარჩენილი წითელ არმიელები ფხიზლად ვდგევართ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოებზე.

სამხედრო მეცადინეობის შემდეგ ვაწყობთ პოლიტ-საათებს და საუბრებს, ვატარებთ კამპანიებს. ჩვენთან მეცადინეობენ აგრეთვე 20-მდე წვევამდელს.

14 ივლისს ჩავატარეთ საჰაერო ფლოტის დღე. მოვაწყვეთ კრება, სადაც ამხანაგებმა ილაპარაკეს ამ დღის შესახებ და ყველას მოუწოდეს, რათა ჩაეწერონ წევრებად საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ წითელი ფლოტის აყვავებას.

ამ დღისთვის გამოვეცით ჩვენი კედლის გაზეთის „წითელი დროშა"-ს მე-19 №-რი.

აქაური.

საბჭოთა სასამართლო

ძმის მკვლელი

ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე რ. შომახია, სახალხო მსაჯულნი—ჩხეიძე და ალიოხინი, მდივანი ლისაშვილი და პროკურორის თანაშემწე ქიქინაძე,—თავის საჯარო სხდომაზე მოისმინა ალექსანდრე ანტონის-ძე ზარიძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ს. ს. კ-ის 146 მუხლში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება. საქმე შემდეგში მდგომარეობდა:

ბრალდებულ ალექსანდრე ზარიძის სიდედრს,—ვინმე გურგენიძისას აღებული ჰქონდა შუა ბაზარში იჯარით დუქნის შენობა, რომელიც მას თავის მხრით მიუქირავებია დავით ზარიძისათვის. უკანასკნელი თავის ძმა ალექსანდრესთან ერთად ეწეოდა ამ დუქანში რძის ნაწარმოებით ვაჭრობას. ყოველდღიურ ანგარიშის გასწორებისას და აგრეთვე სიდედრის ქირის გადახდისას ძმებს და სიდედრს ხშირათ ჰქონიათ ურთიერთშორის დავა და ჩხუბი, რომელშიაც ბრალდებული და მისი სიდედრი წარმოადგენდენ ერთს ბანაკს დავითის წინააღმდეგ. დავითმა გადასწყვიტა მისი ძმის სიდედრთან კავშირის გაწყვეტა და ამ მიზნით უშუალოთ შეუთანხმდა ქალაქის ალმასკომს დუქნის საიჯარო ქირის შესახებ. გარიყულ სიდედრის დასაცავათ გამოვიდა ალექსანდრე. მომზადდა ხანჯალი, შეითითხნა სახე ფქვილით, გაიკეთა ხელოვნური წვერულვაში და ერთ საღამოს (ამა წლის 5 აპრილს) დახვდა ძმას აკიმოვის ქუჩაზე. დანის რამოდენიმეჯერ ჩაცემით ძმამ მოჰკლა ძმა.

სასამართლომ, გაარჩია რა საქმე, ზარიძის მიმართ აღძრული ბრალდება დამტკიცებულათ სცნო და თანახმათ ს. ს. კ-ის ზემოაღნიშნულ მუხლისა, მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა რვა წლით გამასწორებელ სახლში მკაცრი იზოლიაციით და სასამართლოს ხარჯების მასზე დაკისრებით სამოქალაქო სარჩელი 300 მანეთის. რაოდენობით გადახდება ბრალდებულს მოკლულ ზარიძის ოჯახის სასარგებლოთ. ნივთიერი საბუთი (სისხლიანი ხანჯალი) გადაეცემა სისხლ. სასამართლოს მილიციასთან არსებულ მუზეუმს.

მეცნიერება-ტეხნიკა

ოკეანეს სიღრმეში.

დედამიწის ორი მესამედი ოკეანეს უჭირავს. სინათლე წყალში მხოლოდ 900 მეტრის მანძილზე აღწევს. ამის ქვევით კი მუდმივი სიბნელეა. იქ არ არის არც ღამე, არც დღე, არ არის წლის დროთა ცვალებადობა—ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული. არ არის სითბო, სიცივე. ტემპერატურის ცვალებადობა რაღაც 1—2 გრადუსის ფარგლებში ხდება.

დედამიწაზე მაღალი ადგილები, მწვერვალები აქა იქ არის გაფანტული. ოკეანეში ღრმა ადგილები—ეს თითქმის კანონია: ოკეანის ფსკერის 80 პროც. ორი ვერსის სიღრმეზე მდებარეობს.

ფიზიკური პირობები, რომლებიც ამ სიღრმეზე არსებობენ სრულიად არ წააგავენ იმ პირობებს, რომლებსაც ჩვენს გარშემო ვხედავთ.

პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, აქ სრულიად არ აღწევს მზის სხივი.

1910 წ. ოკეანეს სიღრმის გამოსაკვლევად გაიგზავნა გემი „მიხაილ სარს". 900 მეტრის სიღრმეზე ამ გემიდან ზღვაში ჩაუშვეს მგრძნობიარე ფოტოგრაფიული ფირფიტა, რომელიც 2 საათის შემდეგ ამოიღეს და მასზე ვერ აღმოაჩინეს სინათლის ვერავითარი გავლენა.

ყველგან ოკეანეს სიღრმეებში, იქნება ეს ჩრდილოეთ პოლიუსზე თუ ეკვატორთან, ერთნაირი ტემპერატურა არის.

წარმოუდგენელია იმაზე უფრო წყნარი დამშვიდებული არე, ვიდრე ოკეანეს სიღრმეებია. ოკეანეს ზედაპირზე მძვინვარე ქარიშხალებისა და ღელვის მცირედი ნიშანწყალიც არ არის აქ. საშინელი ღელვის ძალა ნახევარი ვერსის სიღრმემდიც არ აღწევს.

დაბოლოს კიდევ ერთი თავისებურობა, რომელსაც გაკვირვებაში მოვყევართ ჩვენ. ეს არის დაწოლის საშინელი ძალა, რომელსაც აქ განიცდის ყველა საგანი.

4 კილომეტრის სიღრმეზე საგანი თითეულ კვადრატულ სანტიმეტრზე განიცდის დაწოლას, რომლის ძალა უდრის 25 ფუთს. ამავე სიღრმეზე თევზი, რომლის ზედაპირი უდრის ერთ კვადრატულ მეტრს, განიცდის დაწოლას 4000 ტონას ძალით, ხის ნაჭერი ამ სიღრმეზე ჩაშვებული, მკვრივდება, აგურს ემსგავსება და იძირება. ვერავითარი ჯავშანი ვერ უძლებს ასეთ დაწოლას. წყალქვეშა ნავის ჯავშანი იმსხვრევა უკვე რამოდენიმე ასეული მეტრის სიღრმეზე.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ სიღრმეზე მცხოვრები ცოცხალი არსებანი ასეთივე საშინელ დაწოლას განიცდიან. ჩვენც განვიცდით ჰაერის მუდმივ დაწოლას, მაგრამ არ ვგრძნობთ ამას, რადგან ჰაერი აწვება ჩვენს სხეულს, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. ერთი მეორის წინააღმდეგ, მაგრამ თანაბრად მომქმედი ძალები სპობენ ერთმანეთს და ამიტომ ჩვენ არ ვგრძნობთ ატმოსფერის დაწოლას.

ოკეანეს სიღრმეებში მცხოვრებ ცხოველებსაც წყალი გარშემო არტყია, წყლით არის გაჟღენთილი მთელი მათი სხეული და ამიტომ ეს საშინელი დაწოლა არ სჭყლეტს მათ. ზოგი იფიქრებს, რომ ამ ცხოველების ტანი უფრო მაგარია, უფრო მაგარია მათი ჩონჩხი და ამიტომ უძლებენ ისინი ასეთ საშინელ დაწოლასო, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. პირიქით მათი ტანი მეტად სათუთი აგებულობის არის. აიხსნება ეს იმით, რომ ამ სიღრმეზე არ არის ღელვა.

მაგრამ ამ სიღრმეზე მცხოვრებ ცხოველებს საშინელი ბრძოლა აქვთ გამართული არსებობისათვის. აქ არის საშინელი, დაუკმაყოფილებელი შიმშილის სამეფო. სხვანაირად არც შეიძლება. აქ არ არის სინათლე, არ არის მცენარეულობა. მაშ რით იკვებებიან აქ ცხოველები? ისინი ან სჭამენ ერთმანეთს, ან და იკვებებიან იმ მკვდარი ორგანიზმებით, რომლებიც განუწყვეტლივ ცვივა ოკეანეს ზედაპირიდან.

ამიტომ არის ასეთი თავისებური აქ მცხოვრები ცხოველების აგებულობა. მთელი მათი ტანი თითქმის მხოლოდ უზარმაზარი პირისა და ასეთივე მუცლისგან შესდგება.

უზარმაზარი, მახინჯი თავი ხშირად შეიარაღებულია დიდი რგვალი თვალებით, რომლებიც მოთავსებული არიან ტანის ორივე მხარეს, ან გამოშვერილი არიან, როგორც მილი.

რათ უნდათ თვალები მუდმივ სიბნელეში მცხოვრებებს? ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში მცხოვრებნი, ბუნებამ ისინი შეიარაღა არსებობისათვის ბრძოლის იარაღით. მათი თვალები ანათებენ და ცხოველი დაეძებს საკვებს.

ოკეანეს უფსკრულები ჯერ კიდევ სავსებით გამოკვლეული არ არის და რამდენ ახალ საოცარ რამეებს გაიგებს კაცობრიობა, როცა მას შესაფერად გამოიკვლევს.



ინჟ. კოლღრანი წვიმის მანქანასთან.

წვიმის მანქანა.

ამერიკელმა ინჟინერმა ელექტრო-ტეხნიკოსმა კოლღრანმა გამოიგონა მანქანა, რომელიც ცვლის ატმოსფერულ დაწოლას და ქმნის რომელიც გინდათ ისეთ ამინდს. მანქანა უკვე გამოსცადეს პრაქტიკულად და გამოიწვია წვიმა ნიუ-იორკის სხვადასხვა უბნებში.

ჩვენი სურათი წარმოადგენს ინჟინერ კოლღრანს თავის „წვიმის მანქანასთან".

ქრონიკა

— **მსოფლიო ომის 10 წლის თავი.** 30 ივლისს, წითელ არმიელთა ცენტ. კლუბში მსოფლიო ომის გამოცხადების 10 წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართება შესაფერი საღამო მოხსენებებით.

— **წამლეულობის გაიაფება.** ქ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა დაუკლოს ფასები წამლეულობაზე თავის განკარგულებაში მყოფ აფთიაქებში.

— **აგარაკებზე.** საქართველოს თითქმის ყველა აგარაკებიდან მოსულ ცნობების თანახმად, აგარაკებზე საგრძნობლათ აგრილებულა.

— **გლეხთა სასახლე თბილისში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა თბილისში გლეხთა სასახლის მოსაწყობათ და წარადგინა ის ცაკში დასამტკიცებლათ.

— **პატიმართა მუშაობა.** სიღნაღის გამსახლის პატიმრებმა დათესეს 2 დესეტინა სიმინდი და მოაშენეს დიდძალი შინაური ფრინველები.

— **კუდიანი ქარი ლეჩხუმში.** დიდი ნიაღვარის შემდეგ ლეჩხუმში გადაიარა კუდიანმა ქარმა. სოფ. ლუხკინოში ქარმა დააზიანა ყველა შენობები.

— **აფხაზეთის თამბაქო.** საზღვარგარეთ უკანასკნელ ხანებში დიდი მოთხოვნილებაა აფხაზეთის თამბაქოზე.

— **აბანოს მოწყობა ავლაბარში.** უკვე შეუდგნენ გოგილოს აბანოს მოწყობას ავლაბარში. აბანო მზათ იქნება სექტემბერში.

— **ქალაქის წისქვილი.** მომავალ კვირიდან დაიწყება ქალაქის წისქვილის შენობის სავსებით გადაკეთება.

— **შემოსავალი აბანოებიდან.** 1924 წ. 1-ლ ნახევარში აბანოებიდან შემოსულია 95.931 მ. აბანოებით ამავე ხნის განმავლობაში უსარგებლია ნახევარ მილიონ მოქალაქეს.

— **სოფლის სახელების დარქმევა ქალაქის ქუჩებისათვის.** სოფელსა და ქალაქის მუშების დაახლოვების უფრო გასაძლიერებლათ, ქალაქის ზოგიერთ ქუჩებს დაერქმევათ საქართველოს სოფლების სახელი.

— **წყალსადენის მილების დაკეტვის აკრძალვა.** ქ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ აღკრძალა წყალსადენის მილების დაკეტვა ფულის შემოუტანლობისათვის სანიტარული მიზნით. წყლის ფულის დროზე არ შემომტანელების წინააღმდეგ მიღებული იქნება სხვა ზომები.

— **გადასახადი საავადმყოფოებში.** ქ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა გაადიდოს საავადმყოფოებში მწოლიარე დაზღვეულ ავადმყოფებზე გადასახადი დღეში 2 მან. და 50 კაპეიკამდე.

— **ა | კ. სახკომსაბჭოს სასახლე.** რუსთაველის ქუჩაზე უკვე შეუდგნენ ა | კ. სახ. კომსაბჭოს და სხვა კომისარიატების სასახლის ასაგებათ მუშაობას. პირველ რიგში აგებული იქნება დამხმარე შენობა. განზრახულია 7 სართულიანი შენობის აგება.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.** განათლების კომისარიატის მიერ გაიხსნა მასწავლებელთა გადასამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები შემდეგ ადგილებში: ახალქალაქში, მანგლისში, კოჯორში, ბაშურში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ზესტაფონში, ზუგდიდში და სენაკში.

— **ფოსტა-ტელეგრაფის ახალი კანტორა.** მაიდანზე გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ახალი კანტორა. მიიღება ყოველგვარი კორესპონდენციები.

— **კედლის გაზეთების გამოფენა.** არსენალის რაიკომთან 1 აგვისტოს გაიხსნება კედლის გაზეთების გამოფენა.

— **ხელოვნური ხელფეხი დასახიჩრებულებს.** ქ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა ხელოვნური ხელფეხის დაზღვეულებზე გაკეთებას უფასოდ.

— **წყაროების გამოყვანა თბილისში.** კეთილ-მოწყობის განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას ბულაჩაურიდან წყაროების თბილისში გამოსაყვანად.

შემთხვევები

— **თ ა ვ დ ა ს ხ მ ა.** 10 ივლისს დილით სოღალუღის გზაზე მიმავალ გლეხებს, რიცხვით 5 კაცს, თავს დაესხნენ ბოროტმოქმედნი და წაართვეს 500 ცალი კიტრი.

— **ქ უ რ დ ო ბ ა.** 19 ივლისს, ჟუკოვის ქ. № 16, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ეკატერინე გილევის ბინა. ქურდობა ჩაუდენია მისივე ძმას ნიკოლოზ ბეგთაბეგოვს, რომელიც ნაქურდალ ნივთებთან ერთად შეიპყრეს.

— **შ ე ი პ ყ რ ო ბ ა.** 19 ივლისს, მადათოვის ქუჩაზე შეიპყრეს ალექსანდრე ხოჯაევი ნაქურდალი ნივთებით, რომელიც მოეპარა იმავე ქუჩაზე № 7, მცხოვ. ავაკუმოვის ბინიდან.

— **ქ უ რ დ ი ც ო ლ ი.** 20 ივლისს, დილით ფოთის ქ. № 20, მოქ. ი. ჯულუხაძის ბინა გაქურდა მისივე ცოლმა, რომელმაც წაიღო 530 მან. ძვირფასი ნივთები. ქურდი შეიპყრეს.

— **ქ უ რ დ ო ბ ა.** 19 ივლისს ელისაბედის ქ. № 117, გაქურდეს კახეთიდან საექსკურსიოთ ჩამოსული ელისაბედ ჟურინოვის ბინა. წაიღეს 243 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, საღამოს, ნიკოლაევის ქ. № 7, გაქურდეს მარიამ ნარსიას ბინა, წაიღეს 25 მ. ნივთები.

— 19 ივლისს ღამით, აჰასტასიევის ქ. № 13, გაქურდეს ფ. მაჭავარიანის ბინა. წაღებულია 80 მან. ნივთები

მუშათა ცხოვრება

რკინის ცოცხი უნდა მოხმარდეს მუშების მჩაგვრელებს

(პროკურატურის საყურადღებოდ).

სასტუმრო „ორიანტი"-ს (მოიჯარადრე) მოქ. აბაშიძეს რკინის ცოცხიც ვერ მოიყვანს გონზედ. მას მთლად დაავიწყდა, რომ იგი სცხოვრობს არა ნიკოლოზის და მენშევიკების დროს, არამედ ეხლა, როცა მთელი ძალა-უფლება მუშების ხელშია, და მაინც იმდენად თავქვასულია ბ-ნი აბაშიძე, რომ ბედავს მუშების ჩაგვრას. მას აი ოთხი თვეა ჯამაგირი არ მიუცია მუშა-მოსამსახურეთათვის. ისინი აუწერელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბ. არ აძლევს დამზღვევ სალაროს გადასახად ფულს; კავშირთან ძალიან ცუდათ აქვს საქმე, რადგანაც იგი სრულებით არ ემორჩილება კავშირის დადგენილებებს. ყველა კავშირის გაფრთხილება, მისთვის იგივე ცერცვის კედელზე მიყრა. იმ ოფლით მონაგარ ფულებს, ბ-ნი აბაშიძე კლუბებში—ფანტავს. ბუფეტი, ფული მიუცემლობის გამო დაუკეტეს, მაგრამ ბ-ნი აბაშიძე იმდენად ძლიერი ნაცნობობით, რომ მას პრესტიჟი არ დაუვარდეს, ისევ გაუხსნეს ბუფეტი დამშვიდდა სისხლის მსმელი ბატონი. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მუშა-მოსამსახურენი ვადგენთ სიას ორმოცდაორი (42) კაცის ხელის მოწერით. ამის დამტკიცება ადვილია, იგი მზის სინათლესავით აშკარაა.

ბ-ნი აბაშიძე პარაზიტია მუშებისათვის. ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რკინის ცოცხი სწორედ მას უნდა მოხმარდეს, რადგანაც სრულებით არ შედის ჩვენ დატანჯულ ეკონომიურად მუშების მდგომარეობაში.

ხელს აწერს 42 მუშა-მოსამსახურე

დასასვენებელ სახლებში

არ შეიძლება გავჩუმდეთ, და ყურადღება არ მივაქციოთ რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობას და მის მიერ დასახულ მიზნებს თუ რამდენათ ასრულებს ის მუშათა კლასის პრინციპებს და მის უზრუნველყოფას ჯანმრთელობის მხრივ. ვინც ყურადღებას მიაქცევს მის მოღვაწეობას დაინახავს შემდეგს: არა ზოგავს ენერგიას საავადმყოფოების მოწყობაში, დასასვენებელ სახლებში და საკურორტო ადგილებში. მოწყობილია არის მუშათა დასასვენებელი სახლები: წაღვერში, ცემში, ბორჯომში, სურამში, ბაკურიანში და სხვა მრავალ ადგილებში. მე მაინც აქ აღვნიშნავ, თუ როგორ უვლიან დასასვენებლათ გაგზავნილი მუშებს. უნდა ითქვას სიმართლე აქ საუცხოვოდაა დაცული სისუფთავე; მეორედ საექიმო დახმარებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საექიმო პერსონალის მიერ, მესამე, საუკეთესოდ მზადდება საჭმელ-სასმელი, რაიც საკმარისზე მეტია როგორც ავად-მყოფისათვის, ისე დასვენებაში მყოფ მუშებისათვის.

ამისათვის დიდი მადლობის ღირსია რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილება, და მასთან სადგ. სურამის სანატორიუმის ორი ექიმი, რომლებიც დაუღალავ მუშაობას აწარმოებენ მუშების საკეთილდღეოდ და ყოველთვის თავის სადარაჯოზე არიან, რათა დაცულ იქნეს მუშების ჯანმრთელობა.

ინჟ. ქ. დემეტრაშვილი

კულტ-მუშაობა საბჭოთა მუშაკებში

ჩამოაყალიბა რა საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სამდივნომ ორგანიზაციული მუშაობა თავის კალაპოტში, მოქმედების ასპარეზი გადატანილ იქნა კულტურულ ფრონტზე, რომელსაც მთელი თავისი ენერგიით დაეწაფა სამდივნო. სხვა კულტ-მუშაობათა შორის, აღსანიშნავია საკლუბო მუშაობა. ა. წ. 5 ივნისს მოხდა საბჭოთა მუშაკთა პროფკავშირის კლუბის (ყოფილი საზაფხულო „კრუჟოკი"-ს კირკის ქ. № 3) სახეიმო გახსნა.

კლუბი იდეალურადაა მოწყობილი. განსაკუთრებით, მნახველთა ყურადღებას იპყრობს საუცხოვოდ მოწყობილი „ლენინის კუთხე", სადაც საკმაო ლიტერატურა და სათანადო მოწყობილობაა და რომელიც სრულიად აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნილებას. აქვე არსებობს სხვადასხვა წრეებიც როგორიცაა: მაგ.—დრამატიული, სასიმღერო და სხვადასხვა სასაკრავების, არის აგრეთვე ფიზკულტურის კუთხე და საბავშო დერეფანი. აქვე მიდის კინო და წარმოდგენები.

აქვე საუცხოვოდ მოწყობილია ბუფეტი, თუ სხვა კლუბებში ბუფეტები გადაცემულია იჯარით, სადაც მოიჯარადრე მხოლოდ მოგებითაა დაინტერესებული, რაც, რა თქმა უნდა არღვევს კლუბის პრინციპს, აქ ბუფეტის საქმე თვით კლუბის გამგეობის ხელშია.

ბუფეტი მხოლოდ და მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რომ კლუბის პრინციპს ემსახუროს და სრულიად არ ფიქრობს მოგებაზედ.

განზრახულია, საზამთრო კლუბის აქვე მოწყობა, სადაც გასართობებს გარდა განზრახულია დაარსდეს სხვადასხვა პოლიტ. და პროფწრეებიც.

კლუბს ჯერ-ჯერობით ყავს 1300-დე წევრი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კლუბში შემოღებულია წევრთა თვითსამსახურობა, რომელსაც ხალისით ასრულებს ყოველი წევრი და ამის გამო კლუბს მხოლოდ კოტაოდენი ჯამაგირიან თანამშრომლის შენახვა უხდება.

ინჟ. შალვა ჭელიძე.

ავაშენოთ მუშათა უბნები

(მუშკოოპის საყურადღებოთ).

რადგანაც მრავალი მუშა განიცდის გაჭირვებას უბინაობის გამო და მრავალნი ნესტიან და პატარა სახლებში იტანჯებიან, ამიტომ, ჩემის აზრით, ყოველ ჯამაგირის გაცემის დროს ათ-ათი შაური რომ შევკრიბოთ მუშებისგან და აუშენოთ მათ ფიჭვის სახლები ძალიან კარგი იქნებოდა. კარგი ჰაერიც იქნება აქ და მუშებიც ყველაფერს შეიძენენ და არც ცხოვრება გაუჭირდებათ: გაიჩენენ ქათამს, ძროხას და სხვას. ცარიელ მინდორში მოაწყობენ ბოსტნეულობას, ასეთი ტყის მასალა ბევრია და ამ საქმის გაკეთება ადვილად შეიძლება.

ჩვენი კოოპერატივები კარგს იზამენ ამ საქმეს მოაგვარებდენ და დიდ სიყვარულსაც მოიხვეჭენ ჩვენ მუშებში.

მუშკორი მიხ. ვარსიმაშვილი.

ფოთის სატრანსპორტო კავშირში

(ჩვენი ფოთელი მუშკორისაგან).

ა | წ. 5 ივლისს საღამოს 9 საათზე ფოთის სატრანსპორტო კავშირის კლუბში („კარლ-მარქსის" სახელობაზე) კავშირის პას. მდივანმა ამხ. გოლომთაიძემ გახსნა კომუნისტური ნათლობისათვის საზეიმო სხდომა და მისალმა მოკლე სიტყვით დამსწრე მუშებს. აგრეთვე მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს პარტკომის სახელით ვ. ჩიჩუამ, სატრანსპორტო კავშირის სახელით ამხ. ლ. კალანდაძემ და ვრავეჩკომ. მისალმების შემდეგ პრეზიდიუმის მიერ სათანადო სახელები იქნა გამოცხადებული კრებაზე, რომელიც მიღებული იქნა კრების მიერ.

სახელებად ბავშვებს ეწოდა—ნ. კაკულიას უფროსს ქალიშვილს—კლარა ცეტკინის—ორჯონიკა, რომელზედ—შეფობა მიიღო დამზღვევმა კასამ. ... ბერაძის ვაჟს—„რემ" ე. ი. რევოლუცია, ელექტროფიკაცია და მშვიდობიანობა.

ს. ანდღულაძის ქალიშვილს „როზა" (როზა ლიუქსემბურგის სახელია). „რემ" და „როზაზე"—შეფობა მიიღო სატრანსპორტო კავშირმა.

შეფებმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს, და მიესალმენ ახლად მონათლულებს.

უკრავდა სატრანსპორტო კავშირის მუსიკა, რის შემდეგ იქნა გამართული საკონცერტო განყოფილება, სადაც გურული სიმღერები შეასრულეს ძმებმა ბოცვაშვილებმა.

მუშა საშა ფრუიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

მთვრალი კაცი და მხეცი ერთია.

(ალმასკომის საყურადღებოდ)

ვიღაც მთვრალები ხშირად ჩხუბს სტეხენ ქუჩებში. როცა მათი დაწყნარება ვინმე მოინდომებს, ისინი დაიწყებენ ყვირილს: „ჩვენ პარტიულები ვართ და რა ნება გაქვთ, რომ გვიბედავთ"-ო და სხვ.

ამისთანა მაგალითები ძალიან გახშირდა. მილიციამ უნდა მიაქციოს საჭირო ყურადღება, თორემ ისინი დადიან ქუჩებში და შეურაცხყოფენ გამვლელ-გამომვლელთ, მათ არ ეკითხებათ, ქალია იგი თუ კაცი.

მილიცია, ყური უგდე რომ გალეშილი, თავქვასული მხეცები ქუჩაში არ თარეშობდნენ.

მუშკორი ნ—ში.

შავი მუშა ისევ უკან დარჩა.

(ზაჰესის ადგილკომის საყურადღებოდ)

მგზავრობის დროს ძალიან ხშირად ძალა-უნებურად ყურს უგდებ რაიმე ლაპარაკს: „ზაჰესის" მუშები ჩიოდენ, რომ მათ არ ეძლევათ თავის დროზე ჯამაგირი, მიუხედავათ იმისა, რომ „თეთრი მუშა" იღებს პირველ რიგში და თავის დროზე. შავი მუშა ისე უკან არის. ადგილკომო, გამოიღვიძე, მიაქციე ყურადღება, შავ მუშა წინ წააყენე, და უშველე.

მუშკორი ...

აღმოაჩინეთ ქურდი.

(რკ. გზ.—პროფკავშირის საყურადღებოდ).

ჭიათურის ვაგონების გამსინჯველებთ დაეკარგად „ტისკი", რომლის დაკარგვის შესახებ ჯერ ადმინისტრაციამ არაფერი არ იცის.

როგორც ემჩნევათ მათ სურთ, რომ ამ იარაღის დაკარგვა დამალონ ადგილკომო, მიაქციე ყურადღება, და აღმოაჩინე ბოროტმოქმედნი.

მუშკორი ახლობელი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— ა. | კ. დამზღვევ სალარომ ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირთან ერთად აღძრა შუამდგომლობა ა. | კ. სახალხო კომის. საბჭოს წინაშე, რათა დაარსებულ იქნეს ცენტრალური კომისია მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისა ა. | კ. ფარგლებში.

— **თბ. საუბნო პროფკავშირის** მოსამსახურეები დანაწილდა 2 ჯგუფად შვებულებაში გასაშვებად. 1-ლი ჯგუფი (7 კაცი) 15 ივლისიდან იმყოფებიან შვებულებაში.

— **კონდუქტორების და ორთქლმავალთა ბრიგადების შტატი.** ა. | კ. რკ. გზ. ინსპექტორების მესამე კრებამ დაადგინა გადიდდეს შტატი კონდუქტორების და საორთქლმავალო ბრიგადებისა.

— **შრომის დაცვის კომისიები.** იმავე კრებამ მოსთხოვა ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირს, რათა ყველგან, სადაც არ არსებობენ შრომის დაცვის კომისიები, მოეწყონ ასეთები.

— **დრეზინები საექიმო დახმარებისათვის.** რკინის გზელთა საჩქარო საექიმო დახმარებისათვის თბ. საუბნო დამზღ. სალარომ შეიძინა დრეზინა კახეთის გზაზე განზრახულია ასეთი დრეზინები გორის საექიმო პუნქტისათვისაც.

— **ავადმყოფ მუშებს კარგათ უვლიან.** გურჯაანში, ახტალაში გაგზავნილ ავადმყოფ რკინისგზელების მოვლა კარგათ სწარმოებს. მუშები კმაყოფილნი არიან.

— **ექსკურსია.** 19 ივლისს ბორჯომ-ბაკურიანში გაემგზავრა ნაძალადევის მუშათა თეატრთან არსებული მუშა-მომღერალთა გუნდი ამხ. ხლაპინ-ზაგორსკის ხელმძღვანელობით.

— **გორიდანაც რკინისგზის მუშები** 61 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა საექსკურსიოდ ქ. ბათომში.

— **მუშფაკელი—რკინისგზელები.** 60 მუშფაკელი—რკინისგზელები გაემგზავრა საექსკურსიოდ საქართველოს გზაზე.

— **დეპოს მუშათა კრებაზე,** რომელიც შესდგება 24 ივლისს, ყველა დეპოსთან არსებულმა კომისიებმა უნდა წარადგინონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები.

— **ქალთა ექსკურსია.** საკავშირო და საელექტრო-ტეხნიკურ სამსახურის მუშა-მოსამსახურე ქალების ექსკურსია უკვე ორჯერ მოეწყო სხვა და სხვა კუთხეებისაკენ. ასეთი ექსკურსიები ყოველ კვირაობით მოეწყობა ა. | კ. ფარგლებში.

ინფ. ა—ძე.

ხელოვნება

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში.

შაბათს, 19 ივლისს, მე 2 უბნის დამცველ რაზმის კულტკომისიის ინიციატივით ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართა საღამო. დადგმულ იქნა პიესები: 1 „მოტყუებულნი" 2. „დატრიალდა ჯარა" ორივე პიესები სასურველად ჩატარდა.

ბოლოს სცენაზე გაიმართა აზიური ცეკვა, რომელიც სრული დამახინჯება იყო აზიურ ცეკვის. სასურველია საზოგადოების წინაშე არ გამოდიოდნენ სათამაშოდ ასეთი „მოცეკვავენი", არამედ ჯერ ისწავლონ ცეკვა. უკრავდა რაზმის სამხედრო ორკესტრი, საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა 2 საათზე. რაზმის კულტ-კომისია, რაც დრო გადის უფრო მეტ უნარს იჩენს კულტურულ ფრონტზე. უსურვეთ კულტ-კომისიას გამარჯვებას.

კინო.

მუშათა ცენტრალურ კლუბში.

რკინისგზის მე-4 შრომის სკოლის მოწაფეთა საღამო.

19 ივლისს მუშათა ცენტრალურ კლუბში რკინისგზის მე-4 შრომის სკოლის მოწაფეთა დრამატიული წრის მიერ გაიმართა საღამო საზაფხულო სცენაზე. წრის ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი ალექსანდრე ვაშაკიძე, რომელმაც თავის ნამუშევარი ამ საღამოს უჩვენა რკინისგზის და სხ. წარმოების მუშებს. მოწაფეები მუშა-მოსამსახურეთა შვილებია, სიყვარულით ეკიდებიან საქმეს. ამ საღამოს ბლომათ დაესწრნენ მუშები თავისი შვილებით. წარმოდგენილი იყო ერთ მოქმ. დრამა რევოლიუციონური ხასიათისა „რევოლიუციონერი" და ვოდევილი „პარტია პორტია" ყველა როლების აღმასრულებელნი კარგები იყვნენ, თამაშობდენ ახალგაზრდული ტემპერამენტით, დასასრულ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, აქ შესრულებულ იქნა სიმღერები: Solo და დუეტი მოწაფეთა მიერ. მოწაფე ქალებმა შეასრულეს აღმოსავლეთ აზიური ბალეტი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწაფე ქალი კიკნაძე, რომელმაც თავისი მოხდენილი თამაშით საზოგადოება აღფრთოვანებაში მოიყვანა.

ჩვენი მუშური მადლობა დაუღალავ მშრომელ მასწავლებელს ამხ. ალ. ვაშაკიძეს და პატარა „მსახიობებს".

სასურველია ასეთი საღამოების მოწყობა სხვა მუშათა კლუბებშიც.

მელითონე.

ჟურნალი „მნათობი" № 4

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „მნათობი"-ს მე-4 ნომერი შემდეგი შინაარსით: გ. ტაბიძე—ჯონრიდი, პოლ. კაკაბაძე—ძველი დაფები—(მისტერია), მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი—ევროპის ედემში, ივ. იოსელიანი ბოროტი სული (მოთხრობა), ნ. კლუევი—ლენინ (ლექსი) ნ. ბუხარინი — ლიბედინსკის მოთხრობის შვიდი დღის შესახებ, იური ლიბედინსკი—შვიდი დღე, ერნსტ ტოლერი—ბურჟუაზიის ტუსაღები, ბაირონი—კაენი ევგ. ლუნდბერგი—ლენინი და ლეგენდა, გრ. კალანდარაშვილი—პოეზია ლენინზე, გიორგი გორბაჩევი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის უკანასკნელი რომანტიკოსი, ს. ჩიქოვანი—სასწრაფო განმარტება ჟურნალ H_2SO_4-ს, კირილ ზდანევიჩი—მემარცხენე მხატვრობა რუსეთში, შ. მამალაძე—გრიგოლ პაველიძე ტატიშვილი, გიორგი ლეონიძე—ივანე მაჩაბელი, ა. დებორინი—ლენინი მებრძოლი მატერიალისტი, სეით დევდარიანი—ეს პასუხი არ არის. ბიბლიოგრაფია და რეპროდუქცია კამოს ძეგლის. ჟურნალი მხატვრულად არის გამოცემული, შეიცავს 301 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

მეორე ცხრაწლიანი შრომის სკოლა

თბილისში არსებულ სასწავლებლებში მეორე ცხრაწლიანი შრომის სკოლის (ყოფილი მეორე ვაჟთა გიმნაზია) შენობა ყველაზე დიდია: მოსწავლეთა რიცხვი ათასს აღემატება. სასწავლებელს აქვს მდიდრულად მოწყობილი კაბინეტები: ფიზიკისა, გეოგრაფიის და მინერალოგია-ზოოლოგიის.

სკოლასთან გახსნილია აგრეთვე ხატვა-ძერწვის და სადურგლოს სახელოსნოები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი წიგნთსაცავი, რომელსაც ორი დიდი ოთახი უკავია.

სათეატრო დარბაზი ათასამდე მსმენელს იტევს, წელს მოეწყო სცენა.

ამ დარბაზში—სამოსწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოეწყო გამოფენა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოფენებმა მრავალი მოსწავლე და გარეშე საზოგადოება მიიზიდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა უკანასკნელათ მოწყობილი გამოფენა, რომელზედაც აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც აქაურები, ისე საექსკურსიოთ ჩამოსულებიც. გამოფენა ინახულა აგრეთვე საკავშირო ფედერაციის განათლების კომისარმა ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც კმაყოფილი დარჩა.

გამოფენა ატარებდა ფართო ხასიათს: აქ იყო მოცემული დამუშავებული მასალები ყოველ დარგიდან, თითოეულ საგანს თავისი ადგილი ეჭირა დარბაზში.

მიმდინარე წლის იანვრის პირველ რიცხვებში, განათლების კომისარიატის ნებართვით, აქ შესდგა მშობელთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა საბჭო. უკანასკნელი ერთგვარ დახმარებას უწევს სასწავლებელს. წლის განმავლობაში მოეწყო ოცამდე დილა და დაიდგა შესაფერისი პიესები, რომლებზედაც მშობლები და მოწვეული საზოგადოება მრავლათ ესწრებოდა. დილებზე ხშირათ ყოფილა წაკითხული რეფერატები და მოხსენებები არსებულ წესწყობილების და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. იმართებოდა აგრეთვე ლიტერატურული გასამართლებები თითქმის ყოველ კვირა.

განცვიფრებაში მოდიოდით, როცა ისმენდით მოწაფეების ლოღიკურ მსჯელობას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. წლის განმავლობაში მოეწყო რამდენიმე საინტერესო ექსკურსია ქალაქში და მის გარეთაც. მოწაფეებმა დაათვალიერეს ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური, რის შესახებაც იქაურ გამოცდილ ტეხნიკის მიერ მათ მიეცა საჭირო ახსნა-განმარტება; იმოგზაურეს აგრეთვე ტფილისის მაზრის ზოგიერთ ადგილებში, ინახულეს წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელი, ილია ჭავჭავაძის ყოფილი კარ-მიდამო და ყოფილ მემამულე სტაროსელსკის, ამ ჟამად თბილისის პოლიტეხნიკუმის განკარგულებაში მყოფი მამული. მოწაფეები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ. სასურველია, რომ ასეთი ხასიათის ექსკურსიები კვლავ მოეწყოს უფრო ფართო მასშტაბით. თბილისის მიდამოები და ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები უნახავი არ დარჩენიათ; დათვალიერებულ იქნას აგრეთვე არქივები, მუზეუმები, უნივერსიტეტი და ობსერვატორია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლებელში ბევრი რამ გაკეთდა წლის განმავლობაში; მადლობის ღირსნი არიან მასწავლებლები, რომლებიც დაუზარებლათ მუშაობდნენ და განსაკუთრებით ხელმძღვანელი ამხ. პ. იოსელიანი; უკანასკნელი იშვიათი ენერგიით და სიყვარულით ეკიდება სკოლის ახალ საფუძველზე აღმოცენების საქმეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებელი, რომელიც ყველაზე უფრო კარგათ იყო მოწყობილი, საგრძნობლათ დაზიანდა ომიანობისა და რევოლიუციის ხანებში. რომელ სახელმწიფოს ჯარები გინდა, რომ აქ არ იდგა: დაწყებული შავკანიანებიდან—გათავებული თეთრკანიანებამდე. რამდენიმე წლების განმავლობაში იგი ყაზარმათ იყო გადაქცეული, რის გამოც შენობა რემონტს მოითხოვს.

წელს მას გაუკეთდა ნაწილობრივი რემონტი, საჭიროა მომავალშიც მიექცეს მას ყურადღება. ჯარების გადაჯგუფება-გადმოჯგუფების დროს სასწავლებელს ნივთიერადაც ბევრი რამ დააკლდა: მრავალი რამ დაიკარგა, დამტვრა და სხ. სასწავლებლის ორკესტრი სადღაც გაჰქრა; საჭიროა ორკესტრი დაუბრუნდეს, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან სკოლას. სკოლას ჰქონია ტელეფონი, რაიც შარშან მოხსნილი იქნა ფულის შეუტანლობის გამო. საჭიროა ამასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვინაიდან ჯერ არს.

მშობელთა საბჭოს წევრი

ალ. დევდარიანი

პროვინციაში

სკოლების ზაფხულთა მომზადების საჭიროება

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის გადადგმული ნაბიჯები. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მომავალ სასწავლო წლისათვის ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდება, მაგრამ არის მეორე მხარე: მასწავლებელთა გონებრივი ამაღლება, მათი მომზადება, აქ ცოტაა გაკეთებული.

სამწუხაროდ ჩვენი სკოლები ბევრი ისეთი ელემენტებით, რომელთაც მასწავლებლობაზე ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვთ. ყველა, ვისაც ზედმეტი არ გაუდიოდა, ყველა, ვისაც „იოლი სამსახური" უნდა, მასწავლებლის ქურქში ეხვევა, თითქო მართლაც „იოლი" იყოს ეს საქმე და არ თხოულობდეს დიდ მომზადებას, დიდ შრომას.

ვის წარმოუდგენია ექიმი, მხატვარი, მუსიკოსი მოუმზადებელი და თეორიულ ცოდნას მოკლებული? განა ასეთებს შეუძლიათ პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა? და ამავე დროს მასწავლებლისათვის თითქო საკმარისია მარტო ტექნიკურის დამთავრების მოწმობა. მაშინ, როდესაც არც ერთ პროფესიის ადამიანისთვის არაა საჭირო იმდენი წვრთნა, რამდენიც მასწავლებლისათვის—მასწავლებლობაც ხომ დიდი ხელოვნებაა.

მეცნიერება წინ მიდის. ძველი გზები სამუდამოდ დასამარებულია. საჭიროა მასწავლებელი დაეწაფოს ახალ მიმდინარეობას, რადგან ვინც წინ არ მიდის განვითარების საქმეში, ის უკან იხევს. მერე, რამდენი რამ არის შესასწავლი! რამდენი რამ არის გასაგები!

ზაფხულობით იმართება კურსები მასწავლებელთა გადასამზადებლად—რასაკვირველია, ეს კარგია, მაგრამ საჭიროა კიდევ სხვა რამე.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მაზრებში თითო თემის სკოლების გამგეობა თითო პირს აბარია. სწავლის მიმდინარეობა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პედაგოგი უდგია სათავეში სკოლებს, გამგე ესწრება ამხანაგების მეცადინეობას, აწყობს სანიმუშო გაკვეთილებს, აძლევს შენიშვნებს მასწავლებელთ, აცნობს მათ ახალ გზებს. აი სწორედ ამ პასუხისმგებელ პირთა საჭირო მომზადებისკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ძალ-ღონე.

სკოლების თვითმართველობა, კომპლექსიური მეთოდი, საკლუბო მუშაობა, საცდელ-სანიმუშო სკოლათა მიღწევანი, ახალი მეთოდები სხვადასხვა საგანთა სწავლებისა—ესენი და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ არის შესასწავლი და გასატარებელი ჩვენს სკოლებში. და ყველა ამას საუკეთესოდ უნდა იცნობდეს ის, ვისაც აბარია სკოლები და ვინც ვალდებულია სხვაზე მეტად იზრუნოს მათზე.

კარგი იქნება, თუ განათლების კომისარიატი ისარგებლებს ამ ზაფხულის არდადეგებით და თავს მოუყრის სკოლათ გამგეებს. პროფესორები და საუკეთესო პედაგოგები წაიკითხავენ ლექციებს, თვით გამგეები გააკეთებენ მოხსენებებს და გაიზიარებენ ამა თუ იმ საკითხს, ყველაფერ ამას ექნება უდიდესი მნიშვნელობა სკოლებში მეცადინეობის გამოცოცხლების საქმეში.

პ. ტაბიძე.

ნათესების მდგომარეობა ხონის რაიონში

თითქმის სამი თვის განმავლობაში ხონის რაიონში წვიმა არ ყოფილა, საშინელი გვალვები და სიცხეები იდგა, მაგრამ ამით თესვა არ შეჩერებულა და მოსავალსაც რაიონში კარგი პირი უჩანს. იმედია, რომ მოსავალი შარშანდელზე ნაკლები არ იქნება. მოსავალი გვალვებით არ დაზარალებულა. გლეხობა განსაცდელიდან იხსნა სარწყავმა არხებმა. რაიონში ეხლა გაყავთ ახალ-ახალი არხები.

ხონის რაიონში არხების გამგეთ არის დანიშნული გ. ბახტაძე, რომლის დიდი მადლიერია გლეხობა წყლის წესიერი დანაწილების გამო. წინათ დიდ არევ-დარევას იწვევდა წყლის განაწილება მცხოვრებთა შორის, რასაც დღეს ადგილი არ აქვს ისიც ასეთი დიდი მოთხოვნილების დროს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა. ცხუნკურის თემში მომხდარმა ნიაღვარმა იქ დიდი ზარალი მისცა ნათესებს. ნიაღვარმა და ღელეებმა ჩამორეცხეს როგორც ძველი, ისე ახალი ნათესები. ნიაღვარი შეუერთდა მახლობელ მდინარეებს, რამაც გამოიწვია უკანასკნელის არაჩვეულებრივი ადიდება და ნაპირებიდან გადმოსვლა, რამაც ნიაღვრიდან გადარჩენილ ნათესებს მოუღო ბოლო. წყალდიდობამ რამოდენიმე სული საქონელი და შინაური ფრინველებიც იმსხვერპლა. დაზიანდა რამოდენიმე წისქვილიც.

გ. ფალავა.

ქარიშხალი რუისის (გორის მაზრა) რაიონში

11 ივლისს ს. რუისში და მის ახლო მდებარე სოფლებში ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც აუარებელი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს, ისედაც გაზაფხულის გვალვისაგან დაზარალებულებს. მოცელილი და დაზვინულებული პურნახული მთლიად გაჰფანტა და ჩამოაყრევინა ნაყოფი ხეხილებსაც.

როგორც რუისის რაიაღმასკომის ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს ძლიერად დაზარალებულია სოფლები: საქაშეთი, სასირეთი და ვარიანი, საც ქარიშხალისაგან გაფანტული და გატაცებულია რამოდენიმე ასეული ზვინული პურნახულისა, ჩამოყრევინებულია ხუთას-ექვსასი ფუთი ვაშლი და წაღებულია 8 სახლის სახურავი. დანარჩენი ზარალი ირკვევა.

სერნარი.

გ ო მ ი ს რ ა ი ო ნ ი

გომის რაიონი აერთიანებს 4 თემს, თვით გომის, ალის, საციხურის და ველევის თემებს. მცხოვრებნი მისდევენ უმთავრესად ხვნა-თესვას, შიგადაშიგ არის ვენახებიც, მხოლოდ მევენახეობას სულ სამი თუ ოთხი წელიწადია რაც აქ მოუკიდნია ფეხი, უკანასკნელ წელიწადს კი გლეხობა ძალიან დაინტერესებულია ამ დარგით და თითქმის ყველა სოფლებში აშენებენ ხამყენ ვაზს.

გომის რაიონს გორის მაზრაში მოსავლიანობით პირველი ადგილი უჭირავს. გაზაფხულზე პურნახულს კარგი პირი უჩანდა, დიდი იმედი გვქონდა კარგი მოსავლისა, მაგრამ გამუდმებულმა გვალვამ ეს იმედი სრულიად გაუცრუა გლეხობას სახელდობრ: საციხურის, ავლევის და ნაწილობრივ თვით გომის თემსაც, პურის და ქერის მოსავალი გვალვისგან მომკვდარი არის. სიმინდის მოსავლიდგან გლეხმა უნდა მიიღოს მხოლოდ ერთი მეოთხედი დღიურზედ, ისიც თუ ამინდმა ხელი შეუწყო. უკანასკნელ დროს ალის თემში და ნაწილობრივ გომის თემშიც უნდა ითქვას, რომ მოსავალს საშუალოზე უკეთესი პირი უჩანდა, მაგრამ თავს დაატყდა სტიქიური უბედურობა და ესეც გაანადგურა. ა. წ. 12 ივნისს დაახლოვებით ღამის 11 საათზე ამოვარდა საშინელი ქარი, რასაც მოჰყვა კოკისპირული წვიმა, ალაგ-ალაგ სეტყვაც. სეტყვისაგან დაზარალებულია ალის თემის შემდეგი სოფლები: უწლევი, ცხეთიჯვარი, ალი და ტკოცა საციხურის თემის, თვით საციხური, აბანო, წაღვლი, ბრეძა, პერინისი და ბერძნაური. დანარჩენი სოფლები ნიაღვარმა დააზარალა და წალეკა ნათესები. მოიტაცა წისქვილები, ბოგირები, ხიდები, ვენახები და ბაღები. სოფ. ვაყიდან წყალმა გაიტაცა 4 შენობა, სოფ. ბერძნაურიდან 8 შენობა. სოფელ უწლევში ჩამოდის საციხის და ფურნების მდინარე, რომლებიც უერთდებიან ალში ქერათხევის მდინარეს. ეს შეერთებული მდინარეები ჩამოდიან სოფ. ნაბახტევზე, ზემო და ქვემო აძვისზე და ვაყაზე და მერე უერთდებიან სურამულას. ამ ადიდებულმა მდინარეებმა დააზარალეს შემდეგი სოფლები: კოდაეთი, ბრეძა, პერინისი, საციხური, წაღვლი, აბისი, აბისის თავი, ბერძნაური, ფცა კნოლევი, უწლევი, ცხეთიჯვარი, ზემო და ქვემო აძვისები, ალი, ნაბახტევი, ვაყა, მოხისი და ქვენა-ტკოცა, საგრძნობელი ზარალი მიაყენა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებს. 13 ივლისს დილა ადრიან გლეხები მოვიდნენ ტირილით და განაცხადეს, რომ წყლისგან მოტაცებულ ხის მასალას მოსახლეობა, თავისია თუ არა, იტაცებს და ითვისებსო. გლეხების განცხადებაზედ ადგილობრივ მილიციის საშუალებით მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები და მოტაცებული მასალა დაუბრუნდა პატრონებს. ამავე დღეს აღმასკომის თავმჯდომარესთან ერთად გავემგზავრეთ რაიონში დაზარალებულ სოფლების დასათვალიერებლად. თვალწინ გადაგვეშალა საზარელი სურათი. ზემოთ დასახელებულ მდინარეთა მიერ დამხჩვალია სოფ. ტკოცაში მცხოვრებლების 10 სული ხარი და კამეჩი და თითო ოროლა სხვა სოფლებშიაც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნიაღვარს წისქვილი მოუტაცნია. შიგ სამი კაცი შერჩენია, შეშინებულნი ავარდნილან წისქვილის სახურავზე იმ დროს, როცა წისქვილი წყალს მიჰქონდა, დიდის გაჭირვებით ხეზე შესულიყვნენ და ყოფილან ხეზე იქამდის, მანამ წყალს არ დაუკლია. თუ რამდენათ ადიდებული ყოფილა წყალი, იქიდანაც სჩანს, რომ ვეებერთელა ხე წყლისგან გატაცებული ათი არშინის სიმაღლეზე გაჩხირულიყო ხეებზე. გზაზე დალონებული გლეხები ნაღვლიანათ შემოგჩიოდნენ თავ-დატეხილ უბედურობაზე. ჩვენ მათ უხსნიდით, რომ ეს ყველაფერი ბუნების მოვლენაა და ამასთანავე ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ არ უფთხილდებით ტყეს და ანადგურებთ. ამასთანავე ვაიმედებდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მოგაქცევთ ყურადღებას და გაგიწევთ დახმარებას და უზრუნველყოფს თქვენს ცოლშვილს და ოჯახის წევრებს.

სასურველი იქნებოდა, რომ გადიდებულიყო ტყის მცველების შტატი, ვინაიდგან მცირე რიცხოვანი მცველები სათანადოდ ვერ დაიცავენ ტყეებს.

მ. ბჟიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 5

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. ივლისის 22.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ.—გრიგოლ ქუჩაიძეს მიეცეს ავადმყოფობის გამო ორი თვის შვებულება სამკურნალოდ ა/წ. ივლისის 20-დან სექტემბრის 20-მდე.

2. საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოვალეობის აღსრულება ამხ. ქუჩაიძის შვებულების დროს დაევალოს მის მოადგილეს ამხ. გიორგი ვაშაძეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი თ. ქ ე ჭ ე ლ მ ა ძ ე.

დადგენილება № 102

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ადგილობრივი შემოსავლის გასაძლიერებლად სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე ზედნართის დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს, ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამაზრო (ქალაქების) აღმასრულებელ კომიტეტებს აიღონ სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე შემდეგი ზედნართი:

1. ფუფუნების საგნების წარმოება-ვაჭრობისათვის დაწესებულ სახელმწიფო სარეწავ გადასახადზე, როგორც ძირითადსა, ისე დამატებითზე:

ა) 1 და 2 ხარისხის სავაჭროზე 60 პროც.
ბ) 3 და 4 „ „ 80 „
გ) 5 „ „ 100 „

2. სათანბრო გამოსაღებზე 60 „

3. სასმელებისა და თუთუნის ნაკეთობის საყიდვისათვის გაცემულ პატენტებზე:

ა) 3 და 4 ხარისხის სავაჭროზე 75 პროც.
ბ) 5 „ „ 100 „

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ აღძრან შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა მათ უფლება მიეცეთ აიღონ ზედნართი 100 პროც.-მდე ყველა იმ გადასახადზე, რაც კი აღნიშნულია ამ დადგენილების 1, 2 და 3 მუხლში, და აგრეთვე დააწესონ ეს ზედნართი 1 და 2 ხარისხის სავაჭროებისათვის (მუხლი 3).

4. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღებზე—ამ გამოსაღების 50 პროც.

5. სასამართლო ბაჟზე—50 პროც.

6. იმ სასყიდელზე, რომელსაც სანოტარო, ორგანოები აძლევენ დამტკიცებული ნიხრისამებრ ამა თუ იმ მოქმედებისათვის რაც გათვალისწინებულია ამ ნიხრში,—აგრეთვე სახალხო სასამართლოში და სათანადო დაწესებულებაში ასლისა, ხელმონაწერისა და სხ. ამისთ. რამის შემოწმებისათვის—ამა სასყიდლის 50 პროც.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ც ხ ა კ ა ი ა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

1924 წ. ივლისის 21.
თბილისი—სასახლე.

ინსტრუქცია

რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეებს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტისა („იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი"—იხ. „კომუნისტი"—165, შეუძლიათ მოაწყონ საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარებლად მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისათვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რელიგიური საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენელნი ტაძარს (სამლოცველო სახლს) და ქონებას უფასო სარგებლობისათვის მიიღებენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და მე-21 ნომრით გამოცემული დეკრეტის 15 მუხლის თანახმათ ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმა ამა ინსტრუქციას აქვს დართული.

2. ზემოაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

3. არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია დაიწყოს მოქმედება, თუ მისი რეგისტრაცია არ მოახდინა მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

4. ფაქტიურად არსებული რელიგიური საზოგადოებანი და აგრეთვე ის მორწმუნენი, რომელთაც სურთ დააარსონ რელიგიური საზოგადოება, მოვალენი არიან სათანადო აღმასკომს რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად წარუდგინონ სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების დამფუძნებელი კრების ოქმი, ბ) საზოგადოების წესდება, გ) საზოგადოების დამფუძნებელთა აღმასრულებელი ორგანოს წევრთა და საზოგადოების რელიგიური კულტის მოსამსახურეთ არჩეულ პირთა მიერ პირადათ ხელმოწერილი სია შემდეგი ფორმით:

1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურობრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდა რევოლუციამდე, 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, 8) სახელდობრ სად და რას აკეთებს დღეს და საერთო გადასახადი დაწესებული რაოდენობისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რელიგიური საზოგადოების წესდება შედგენილ უნდა იქნეს იმ სანიმუშო წესდების მიხედვით, რომელიც ამ ინსტრუქციას აქვს დართული. თუ ამ ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურათ არსებულ რელიგიურ საზოგადოებას უკვე აქვს თავისი წესდება, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს სანიმუშო წესდებისაგან, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონისა და ამა ინსტრუქციის მოთხოვნას.

5. სათანადო აღმასკომმა რეგისტრაციაზე უარი უნდა უთხრას ფაქტიურად არსებულ ან ახლად დაარსებულ რელიგიურ საზოგადოებას თუ: 1) სასამართლოს მიერ უფლებებში შეუზღუდველ მის წევრთა ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან ქალ. თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში და სოხუმში 1500 კაცზე და სხვა ადგილას 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ ადგილას, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა, და აგრეთვე სხვადასხვა სექტანტების (მალაკნები, დუხობორები და სხვ.) მიმართ, წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არა ნაკლებ 50 კაცისა.

6. უკეთუ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, აღმასკომი აძლევს საზოგადოებას წესდების ცალს საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.

7. ამა დადგენილების გამოცემამდე ფაქტიურად არსებული ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამა ინსტრუქციის გამოქვეყნების ანუ გამოქვეყნებულ ინსტრუქციის ადგილობრივ მიღების დღიდან ორი თვის განმავლობაში მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით არ შეიტანს სათანადო აღმასკომში განცხადებას რეგისტრაციის შესახებ, დახურულად ჩაითვლება.

8. ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიათ მოაწყონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 17—ივლისის დეკრეტში („კომუნისტი" №—165).

9. რელიგიური საზოგადოებათა ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიათ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები. ცნობები მათ შესახებ მეოთხე მუხლის „გ" პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით უნდა წარუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

10. რელიგიური საზოგადოების წესდება, რომელიც ქვეყნდება ამ ინსტრუქციასთან ერთად, წარმოადგენს ტიპიურ წესდებას და შეიძლება შევსებულ იქნეს სხვადასხვა დამატებითი მუხლებით, მაგალითად, უნდა უფრო დაწვრილებით აღინიშნულ იქნეს მოძღვრება და პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს რელიგიური საზოგადოების დოგმატიურ დებულებას და სხვ.

11. დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არის ძირითადი კანონი, რომელსაც უნდა დაემყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება და მოქმედება.

12. იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტრ-რევოლუციონერ გამოსვლებში, ანდა უკეთუ გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება ამ რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივ მოქმედების ჩამდენი კი მიიცემა სამართალში.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვ ა რ ძ ი ე ლ ი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტ ა ლ ა ხ ა ძ ე.

თბილისი.
1924 წ. 9 ივლისი.

(დასასრული იქნება)

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტიულ კლუბის შენობაში (კახეთის ქ. № 1) მოწვეულია მესამე რაიონის კედლის გაზეთების ყველა რედაქტორების და სარედაქციო კოლეგიების თათბირი.

მუშკორთა რაიონულ ბიუროს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. სასურველია აგრეთვე მუშკორთა თბილისის ბიუროს წარმომადგენლის დასწრება.

დღის წესრიგი:

1) მესამე რაიონის კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ (საანგარიშო მოხსენებები ადგილებიდან); 2) კედლის გაზეთების გამოფენის შესახებ.

მდივანის მაგიერ—ფ ი რ ა ლ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საალრიცხვო-განმანაწილ. განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს 2 დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში. 1. კაჭარავა გარელი, 2. ხუნდაძე გრიგოლი, 3. შალამიან მარიამი.

თბილ. კომიტეტის საალრიც. განმანაწ. განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხ.-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში 23 ივლისს დილის 9 საათზე:

1) პიჩკოვ გრიგ., 2) ბარტ სტელლა, 3] სუპრეხტი, 4) ჯაგრნავა, 5) როტტე, 6 ვარნაზოვს ს., 7) კუპუხიძე კ., 8) წულაძე კ., 2) კორსუნოვა, 10) ჯაყელი, 11) მუსერიძე კ., 12) ბაზანოვი ალ.

საქ. კომპარტ. თბ. კომიტ. საალრიცხ. განმანაწ. განყოფილება.

— დღეს, 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში, შესდგება ქალაქის რაიონის დელეგატთა კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:
1) გაზ. „მუშის" რედაქციის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. საყვარელიძე).
2) ქალაქის მილიციის უფროსის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. ხმალაძე).

— ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედთა მდივნების თათბირი.

ქალაქის რაიკომის მდივანი—ს. ა კ ო პ ო ვ ი.

— სამშაბათს, 29 ივლისს რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილების ბინაზე, შესდგება საბჭ. და პარტ. გამომცემლობათა ამიერ-კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა. მოწვეულნი არიან კომპარტიის ცკას, საპოლგამის, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სახ. განათლების კომისარიატის, „ბაქოს მუშა" „კრასნაია კნიგას", „ზაკკნიგას" გამომცემლობათა წარმომადგენლები.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 3 რაიკომი იუწყება, რომ დღეს 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე ნარიმანოვის სახელობის კლუბში მოწვეული იქნება კომუნისტ—მუსლიმან კომკავშირელთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1] ამხ. პაშა-ზადეს მოხსენება „შეკვეთ ფახსიის" შესახებ.

რაიკომის მდივანის მაგიერ—პ ი რ ა ლ ო ვ ი.

— ხუთშაბათს, 24 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება ქალაქის რაიონის ქალთა ორგანიზატორებისა და დიასახლისებთან ერთად.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე თ ვ ე ი ა ნ ი.

განცხადებები

გულდათუთქული ალექსი და გიორგი ქურხულები, კატო, ქრისტინე, სანდრო და არჩილ ქეშიშოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოვოთ სამუდამოთ მიიძინა პირველის მეუღლემ მეორის დედამ მესამის მულმა და დანარჩენების საყვარელმა ბამისდამ

სოფიო ალექსანდრეს ასული ქურხულისამ

გამოსვენება თავის ბინიდან ჩერქეზიშვილის ქუჩა № 86 დღეს 23 ივლისს 3 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზედ

1—1 1553

მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ ზაქარია, სოლომონი მეუღლითურთ თამარი, ნინო და ქსენია ქურხულები, რომ უდროვოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველის რძალი დანარჩენების ძალუა

სოფიო ალექსანდრეს ასული ქურხულისა

დაკრძალვა დღეს 23 ივლისს 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზედ

1—1 1555

მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ მიხეილი, ეფემია, ანნა და იოსები ქურხულები რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი პირველის და მეორის რძალი დანარჩენების ძალუა

სოფიო ალექსანდრეს ასული ქურხულისა

დაკრძალვა დღეს 23 ივლისს 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

1—1 1554

გიორგი მეთოდეს ძე ხოშტარია დედით, ცოლით და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 23 ივლისს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ძვირფასი რძლის

მინადორა ეგნატეს ასული ხოშტარიასი

პანაშვიდი დაიწყება 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში

1—1 1542

უზომო მწუხარებაში მყოფი აკაკი მეთოდეს-ძე ხოშტარია მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 23 ივლისს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მისი დაუვიწყარი მეუღლის

მინადორა ეგნატეს ასულის

პანაშვიდი დაიწყება 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში.

1541 2—2

ქალ. თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

რადგან ხშირია შემთხვევა, რომ მისამართები და ხელისმომწერთ[illegible] ში გამოგზავნილი არ არის სწორათ და გარკვევით შედგენილი, რაც იწვევს ხელისმომწერლებისათვის გაზეთების მიწოდების შეფერხებას და ზოგჯერ მიუწოდებლობასაც შეცდარი მისამართების გამო, ამისათვის ცკას გამომცემლობის მთავარი კანტორა—ექსპედიცია სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, [illegible] სამისამართები სწორათ და გარკვევით იქნას შედგენილი, [illegible] ქუჩის სახელწოდებით, სახლის და ბინის ნომრის და გვარის.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე.

5—1

საქართველოს კომპარტიის ცკას გამომცემლობის მთავარი კანტორა—ექსპედიცია

აუწყებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომ ხელისმოწერას ღებულობს მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზედ და პერიოდულ გამოცემებზე. კანტორა პასუხისმგებელია ხელის მომწერლებისათვის თავის დროზედ მიწოდებაში. მსურველებმა უნდა გამოიწერონ არა უგვიანეს თვის 28 რიცხვისა.

ხელისმოწერა ყოველ ოღე დილის 9—2 საათამდე. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24 მეორე სართული.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე

5—1

ხვალ 24 ივლისს

საღამოს 6 საათზე დანიშნულია

თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულების

მორიგი საანგარიშო კრება

(კირკის ქ. № 7. მესამე სართული)

დღის წესრიგი—1923 წ. ანგარიში. იმ შემთხვევაში თუ დანიშნულ დროზე არ გამოცხადდა რწმუნებულთა საკმაო რიცხვი, მეორე კრება შესდგება იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე. ნ. 1443

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანაშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით

მით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—10

დაკარგე მეტრიკული მოწმობა მიხეილ მირველაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1560

დაკარგე დაზღვევის წიგნაკი არაქელ აბრამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1510

დაკარგე პირადი წიგნაკი № 836 ბაგრატ ზაქარიას ძე ოდიშარიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1552

დაკარგე საბჭოთა მოსამს. პროფკავშირის წიგნაკი გიორგი ფოთაიშვილის სახელზე № 5240. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1556

დაკარგე პარტიული ბილეთი № 491645 და მასთან კიდევ სხვადასხვა დოკუმენტები რაჭის მაზრიდან აკაკი გვენეტაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1557

დაკარგე პირადობის მოწმობა № 29673 სერაპიონ წამალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

ბალანსი

შავი ქვის მრეწველობა პ. ფ. თოფურია და რ. ს. ანჯაფარიძე ჭიათურა

1 ივლისს 1924 წლის.

აქტივი. | პასსივი.

შინაარსი (აქტივი)	თანხა: გირ. სტერ.	ჩერვონც.: მან.	ჩერვონც.: კ.	შინაარსი (პასივი)	თანხა: გირ. სტერ.	ჩერვონც.: მან.	ჩერვონც.: კ.
სალარო	142:0: 0	1114	70	მევალეთა და მოვალეთა ან—ში	11042:18:11	86681	[illegible]
მევალეთა და მოვალეთა	3990:14. 1	31327	41	საბრუნავი თანხა	13439:13. 2	105116	12
მადნები ჭიათურის ბაქნებზე (გარეცხილი)	4440:0. 6	34854	—				
„ ქარხნის ჩამოსაშვებზე	1775:3: 6	13543	75				
„ ჭიათურის ბაქ. (ჩვეულებრივი)	2158:0: 3	16940	30				
ქარხანა-სამანქანო განყოფილებით	11775:6: 3	92435	73				
მოძრავი ქონება	201:7: 6	1581	78				
	24482:12:1	191797	67		24482:12:11	191797	[illegible]

თოფურია-ანჯაფარიძეს ვექილობით მმართველი ვლადიმირ ხარბანიძე.

ნ. 1558 1—1 ბუხჰალტერი ტარ. აბაშიძე.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ შაბათს, 26 მკათათვეს 1924 წელს სად. გურჯაანში (კახეთის რკინის გზა) დილის 10 საათზე დანიშნულია

რწმუნებულთა საზოგადო კრება

განსახილველია:

1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1922/23 საოპერაციო წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1923/24 საოპერაციო წლის ხარჯთ-აღრიცხვის და მომავალ მოქმედების გეგმისა.
4. მოხსენება საბჭოსი.
5. მოხსენება გამგეობისა.
6. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
7. არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.
8. მოხსენება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ.
9. მიმდინარე საკითხები.

თუ კრება რწმუნებულთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო 26 მკათათვეს არ შესდგა—გადაიდება 27 მკათათვისათვის და კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

ნ. 1344 2—1. საზ. „კახეთი"-ს გამგეობა.

მთავლიტი—9012.

სტამბა „ზარია ვოსტოკის", სამა წულუკიძის ქუჩა № 4.